# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 20 ივნისი 1998 №96 (631) ფასი 50 თეთრი


# ნიგერია — ბულგარეთი 1:0
# ესპანეთი — პარაგვაი 0:0



REUTERS

ესპანელთაგან ლუის ენრიკე გამოირჩეოდა, მაგრამ სარაბიას (№11) და მის თანაგუნდელებს ვერც მან დააკლო რამე

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

*24 ივნისი. ესპანეთი — ბულგარეთი, ნიგერია — პარაგვაი*

## დღეს სამი მატჩია

**იაპონია — ხორვატია**
ნანტი. 16:30

**ბელგია — მექსიკა**
ბორდო. 19:30

**პოლანდია — კორეა**
მარსელი. 23:00

FRANCE 98

D ჯგუფს წილისყრისთანავე უწოდეს სიკვდილისა. პირველმა ნიგერიამ უშველა თავს, იგი უკვე მერვედფინალშია. სამთაგან კიდევ ერთი უნდა გადარჩეს, ორს კი სიკვდილი ანუ შინ გაბრუნება უწერია. სასიკვდილოდ გადადებულთ უფრო ესპანელები და წინა ჩემპიონატის ბრინჯაოსანი ბულგარელები ჰგვანან — პარაგვაის საქმემოთავებულ ნიგერიასთან უწევს თამაში, ევროპელებმა კი ერთმანეთი უნდა დაჭამონ.

## ბულგარეთმა და ესპანეთმა თავს დააბრალონ!

### ექსპერტის კომენტარი ვლადიმერ პანოვი
*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



— ესპანეთმა საქმე თავადვე გაირთულა. ნიგერიასთან რომ არ დამარცხებულიყო, ახლა შედარებით მშვიდად იქნებოდა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ესპანელები საერთოდ მერვედფინალის მიღმა დარჩნენ. ბოლო ტურში მათ აუცილებლად ბულგარელების მოგება მართებთ, ამას კი ან გააკეთებენ, ან ვერა. რადგან არც მომავალ მეტოქეს აქვს საქმე დალხენილად. აშკარად ეტყობათ, კლემენტეს ბიჭები ფორმაში არ არიან, პიკმა გადაიარა, ნელ-ნელა თამაშს აუარესებენ. სისხლი არ უდუღთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თამაში ეზარებათ, სულ ერთია, წააგებენ თუ მოიგებენ. ჰოდა, შედეგიც მათივე თამაშის პროპორციულია, არ ინდომებენ და, ვერც იგებენ. აბა, სხვას ვერაფერს დააბრალებ პარაგვაისთან ვერმოგებას. პარაგვაი, ასე ვთქვათ, დროებითი გუნდია, გამამწარებელი თუმცა რას ერჩი, საწადელს აღწევენ, უკვე ორი ქულა მიითვალეს და ესპანეთ — ბულგარეთზე კარგ შანსს ინარჩუნებენ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ძალიან კი მეეჭვება, ასე მოხდეს, ისინი ნიგერიელთა მომგებები არ არიან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჯგუფში უკვე გამარჯვებულმა, ნიგერიელებმა თავი არც აიტკიონ, სულაც მეორე შემადგენლობა ათამაშონ და პარაგვაელებს მოაგებინონ. არ გამიკვირდება, ასე მოხდეს, გამიკვირდება კი არა, სავსებით რეალურია. ესპანეთმა რომ ჯგუფიდან ვერ გააღწიოს, ღირსი იქნება.

ბულგარეთზეც იგივეს ვიტყვი. შემადგენლობა ძალიან გამოცდილი ჰყავთ, თუმცა მათმა მწვრთნელმაც ვერ გაითვალისწინა ის ფაქტორი, რომ ფეხბურთელებს მომზადების ზენიტისთვის ჩემპიონატის მიმდინარეობისას მიეღწიათ. თან ძალების დაზოგვაც მოინდომეს. ნახევარი ენერგიით კი ბულგარელები ნიგერიას ვერასდროს მოუგებენ. მეორე ტაიმში გამოიღეს ხელი, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ნიგერიას თამაში აწყობილი ჰქონდა. თანაც უჟინოდ თამაშობდნენ, თითქოს მოვალეობის მოსახდელად. შედეგი აბსოლუტურად კანონზომიერია. სამართალი რომ ყოფილიყო, კოსტადინოვის ძელს მორტყმული ბურთი კარში უნდა შევარდნილიყო, მაგრამ ლოგიკით აფრიკელებსაც ჰქონდათ საამისო შანსები.

ახლა ამ ჯგუფში მეტად ჩახლართული ვითარებაა. ნიგერიის გარდა სამივე გუნდი ინარჩუნებს მერვედფინალში გასვლის შანსს, ყველაზე სავარაუდოდ კი პარაგვაელთა ფრანგებთან შეხვედრა მგონია.

# ოთხ დღეში საცერს მოიტანენ

მატჩი №24. 19 ივნისი. სენტ ეტიენი. სტად ჟოფრუა გიშარი. 36000 მაყურებელი

## ესპანეთი 0:0 პარაგვაი

ესპანეთის ნაკრები ბრინჯს მაგონებს.

ვისაც სიყმაწვილეში ასოციაციობანა უთამაშია, ის უფრო ადვილად გაიგებს რას ნიშნავს ეს. თამაშის წესი ასეთია: ჩაიფიქრებ ვინმეს და მერე კითხვებს გისვამენ, ხილი რომ იყოს რა იქნებოდა, ცხოველი რომ იყოს, სიმღერა რომ იყოს და ასე შემდეგ.

მოკლედ, ესპანეთის ნაკრები ბრინჯს მაგონებს, მაგიდაზე რომ გააბნევენ და არჩევენ. გადარჩეული ბრინჯი ხომ კარგი მარცვლებისგან შედგება, მაგრამ მაინც უაზროდ ჰყრია რაღაც არც კერძია და აღარც მცენარე.

წუხელ ესპანელებს გამარჯვება სჭირდებოდათ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. უმარილო გუნდია და იმიტომ. განა ცდა დააკლეს, განა მეტოქის საჯარიმოში ვერ მოაწყვეს ალიაქოთი, მაგრამ ვერ გაიტანეს. ბედს ნამდვილად ვერაფერს დააბრალებენ. ბედზე მაშინ უნდა ილაპარაკო ბურთს ძელს რომ გაარტყამ ან მილიმეტრით ააცილებ მიზანს. ესპანელები კი მეტოქის საჯარიმოში ძიძგილაობას ფაქტობრივად ვერ გაცდნენ.

არადა რაული, ლუის ენრიკე, მორიენტესი, პიცი, იერო... სულ მათი ხალხია. ეს ხალხი კლუბებიდან ვიცით. ბრწყინავს „ბარსელონა", ბრწყინავს „რეალი", ჩინებულად თამაშობენ ეს ფეხბურთელები, მაგრამ საკმარისია საქმე ნაკრებზე მიდგეს, რომ რაღაც იცვლება, რაღაც სხვანაირი ხდება, უფრო გახუნებული და მკრთალი.

ესპანელებმა პარაგვაის ვერ მოუგეს და ორი ტურის მერე ერთი ქულა აქვთ, ბურთების სხვაობა — მინუს ერთი.

პარაგვაის ორი ქულა დაუგროვდა ბურთების ნულოვანი სხვაობით.

ბულგარეთსაც ერთი ქულა აქვს, ბურთებითაც მინუს ერთსაა.

და გალაღებულია ნიგერია. იგი მერვედფინალშია, ორივე მატჩი მოიგო. ახლა, მესამე ტურში რაც გინდა მოხდეს, ნიგერიელებს პირველი ადგილი განაღდებული აქვთ.

ესპანელებს ბოლო შეხვედრა ბულგარეთთან უწევს. მოდი და იმკითხავე.

მაშ ესპანეთმა ერთი ქულა მოიპოვა.

ცხადია იგივე ჰქნა პარაგვაიმაც. ეს პარაგვაიც რაღაცნაირი გუნდია, უთავდასხმო. გოლს არ უშვებს და ვერ გააქვს. სწორედ ასე მოიქცა წუხელაც და მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ტაბლოზე 0:0 რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა. გაუხარდა სახელგანთქმულ გოლკიპერს ხოსე ლუის ჩილავერტსაც.

ჩილავერტმა კარგად ითამაშა, საიმედოდ, ასაღები აილო. მას არც მაღალ ბურთებზე გამოსვლისას დაუშვია შეცდომა და ხაზზეც ხეირიანად მოქმედებდა. რაც შეეხება ჩილავერტ — თავდამსხმელს, ესპანელებთან მატჩში ერთხელ მოიწადინა ჯარიმიდან გოლის გატანა, მივიდა ბურთთან, გაასწორა, გეტრებიც აიჭიმა და დაარტყა, მაგრამ სწორედ დაყენებულმა ესპანურმა კედელმა ბურთს გზა გადაუღობა.

ჩილავერტ-შოუ წუხელ მოედანსმილმა ხუმრობითაც გამდიდრდა. ერთხელ, როდესაც პარაგვაის ნაკრების მეკარე და ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი (ამას ჩილავერტი ფეხბურთელის კარიერის დამთავრების მერე სულაც არ გამორიცხავს) ბურთის მოსატანად კუთხურის ხაზს უკან გადავიდა, შენიშნა, რომ მავან ფოტორეპორტიორს ქუდი ახურავს. ამან გიჟმაჟი ოხუნჯობის ხასიათზე დააყენა და რეპორტიორს ქუდი მოჰხადა. ჯერ თავად დაიხურა, მერე კი შორიახლოს დაუდო.

რაც შეეხება პარაგვაელთა კონტრშეტევებს, ზოგიერთი მათგანი მართლაც მწვავე გამოვიდა, მაგრამ ბოლო დარტყმა, ბოლო წამი ყოველთვის უარესი გამოდიოდა, ვიდრე მომენტის დასაწყისი. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სამხრეთ ამერიკის ამ გუნდის მოთამაშეებს საკუთარი თავის არ სწამდათ, არ სჯეროდათ, რომ გოლის გამტანები არიან, გონება 0:0-ზე ჰქონდათ მომართული.

ახლა რაღა ჩარაა, ესპანელებს 24 ივნისს ბულგარელებთან ლანსში მოუწევთ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა. ამასთან ერთად, მათ უნდა ილოცონ, რომ იმავე დღეს, ზუსტად იმავე დროს (ბოლო ტურის თამაშები ერთდროულადაა) ნიგერიამ პარაგვაის მოუგოს. თუ ასე მოხდა ესპანეთი D ჯგუფში მეორე ადგილს დაიკავებს და C ჯგუფის პირველ ადგილს ანუ საფრანგეთს ან დანიას შეხვდება მერვედფინალში.

მაგრამ ლოცვა პარაგვაიშიც იციან და თან ეთამაშებიან გუნდს (ნიგერიას), რომელსაც თავი ქუდში აქვს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ მესამე ტურში, მერვედფინალზე ფიქრით აფრიკელებმა ძალა დაზოგონ.

ო, 24 ივნისს ბრინჯს საცერი ელის.

**ილია ბაბუნაშვილი**

REUTERS სენტ ეტიენიდან



აბელარდო და სარაბია გოჯს არ თმობდნენ

REUTERS სენტ ეტიენიდან



ესპანელ ალკორტას პარაგვაელი აკუნია თავზე დაახტა

ესპანეთი

1. სუბისარეტა

4. ალკორტა · 5. აბელარდო · 12. სერხი

15. აგილერა · 6. იერო · 18. ამორი

17. ეჩებერია · 21. ლუის ენრიკე

9. პიცი · 10. რაული

15. ბენიტესი

8. არანდა

21. ხ. კამპოსი · 10. აკუნია

20. კანისა · 16. სესარ ენსისო · 2. არსე

4. გამარა · 5. აიალა · 11. სარაბია

1. ჩილავერტი

პარაგვაი

შეცვლა: **კამპოსი — 13. პარედესი (46), პიცი — 7. მორიენტესი (53), აბელარდო — 16. სელადესი (56), რაული — 19. კიკო (66), არანდა — 18. რამირესი (84)**

გაფრთხილება: **სერხი, აიალა, არსე, კიკო**

მთავარი მსაჯი: **ი. მაკლეოდი (ს. აფრიკა)**

### მატჩის შემდეგ

**ხავიერ კლემენტე**, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: მატჩის შედეგით გულდაწყვეტილი ვარ. გუნდმა თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინა და სამწუხაროა, რომ გოლის გატანა ვერაფრით მოვახერხეთ. ფეხბურთელები მატჩის წინ ჩემს მიერ მითითებებს კარგად ასრულებდნენ. თამაშიც გაშალეს და ორივე ფლანგიდან სახიფათო შეტევებს ანხორციელებდნენ, მაგრამ საბოლოო დარტყმა არ გამოსდიოდათ. მთელი თამაშის მანძილზე რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი შევქმენით და ვალდებულიც ვიყავით რომელიმე მათგანი კარის აღებით დაგვესრულებინა, თუმცა გოლი არა და არ ჩანდა. ხანდახან ასეც ხდება — მეტოქის საჯარიმოს ალყას შემოარტყამ, სახიფათო მომენტებსაც ერთიმეორის მიყოლებით ქმნი, მაგრამ შედეგს თითქოს ჯიბრზე ვერ აღწევ. დღეს ჩვენ სწორედ მსგავსი რამ დაგვემართა. მეორე ნახევარში უკვე აშკარა რისკზე წავედით, რადგან პირველი შეხვედრა წაგებული გვქონდა და დღეს მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა ხელს. მეტოქემ კარგად იგრძნო, რომ ზურგი მოვიშიშვლეთ, ერთი თავდამსხმელი მუდმივად წინ ჰყავდა დატოვებული და ჩვენს დაჭერას კონტრშეტევებზე ცდილობდა. მატჩის მიწურულს პარაგვაელებსაც მიეცათ გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ვერ გამოიყენეს. ახლა ისღა დაგვრჩენია, ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრისთვის მოვემზადოთ, რათა შემდეგ ეტაპზე გავიდეთ და ამით ჩვენი გულშემატკივრების წინაშე შერცხვენა ავიცილოთ. უკანასკნელი თამაში ბულგარელებთან გვიწევს, რომელთაც ჩვენს მსგავსად ერთი ქულა აქვთ და მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. ამიტომ ვფიქრობ ის შეხვედრა ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი იქნება და იმედია საბოლოოდ მაინც ესპანეთის ნაკრების გამარჯვებით დასრულდება.

**ხოსე ლუის ჩილავერტი**, პარაგვაის ნაკრების კაპიტანი: თუ რეალურად ვიმსჯელებთ ამ შეხვედრას ადვილად შესაძლებელია ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. წაგების შემთხვევაში ალბათ შინ ნაადრევად გაბრუნება მოგვიწევდა. თუმცა შევძელით და მატჩი ფრედ დავასრულეთ, რაც მერვედფინალში გასვლის კარგ შანსს გვიტოვებს. ახლა ყველაფერი ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩზეა დამოკიდებული, სადაც ნიგერიელებს ვხვდებით. დარჩენილი თამაშის მიუხედავად ჩვენი ნაკრების გამოსვლა საფრანგეთში უკვე სადღეისოდ უდიდესი ტრიუმფია. ჩემპიონატის დაწყების დღიდან მთელი პარაგვაი ჩვენი თამაშის მოლოდინით ცხოვრობს და გუნდს არანაირი უფლება არ ჰქონდა მათი იმედების გაცრუებისა. ის, რაც ჩვენ პირველი ორი შეხვედრის შემდეგ შევძელით ნამდვილი მიღწევაა, შეიძლება გმირობაც კი, რადგან ეგრედ წოდებულ „სიკვდილის ჯგუფში" პარაგვაის ნაკრებისგან ამდენს არავინ ელოდა. ჩვენ რაღაც წარმოუდგენელის გაკეთება მოვახერხეთ. ესპანეთი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და სასიხარულოა, რომ დღეს მათ დონეზე თამაში შევძელით.

### მატჩის სტენოგრამა

9 წუთი. აიალა საჯარიმოში ციბრუტივით დატრიალდა, მერე ბურთს თავი გაუცაცუნა და საკმაოდ კარგი მომენტიც გააცუდა.

10. ხორხე კამპოსის ჩაწოდებულს არანდა ოდნავ ვერ შეწვდა.

14. ბენიტესს სუბისარეტამ ძლიერად დარტყმული საჯარიმო აულო.

20. ამორმა ფლანგიდან ჩააწოდა. ნადალი თავით პიცის აწვდიდა, მაგრამ ვერ მოზომა.

30. აიალამ ბურთი კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა.

32. პიცის სახიფათოდ დარტყმული მცველმა აისხლიტა, რაული ამატებდა, მაგრამ საკმაოდ ააცილა.

35. არანდას უძლიერესი დარტყმული მეკარემ მუშტებით მოიგერია.

38. ჩილავერტმა ჯარიმა დაარტყა, ბურთი კედელს მოხვდა, იქვე აიალა ამატებდა, მასაც მიზანმა უმტყუნა.

41. როხასი სუბისარეტასთან პირისპირ დარჩა. იქამდე არ დაარტყა, სანამ აგილერამ ფეხი არ ჩაუდგა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

44. რაულმა რეალური მომენტი გააცუდა. ჩილავერტთან ცხვირწინ დარჩენილმა კი დაარტყა, მაგრამ ძალა დააკლდა. მეკარის მოგერიებული თითქოს პიცის უნდა შეეგდო, თუმცა დააგვიანა და მცველმა ბურთი კუთხურზე გადააგდო.

46. ბენიტესის ინდივიდუალურ ოსტატობას სუბისარეტამ კარგად შერჩეული პოზიციით უპასუხა, მისი დარტყმული ხელებში აღიო.

48. რაულმა ნაცვლად იმისა რომ თავად დაერტყა, ლუის ენრიკეს მიაწოდა და მომენტი დაიკარგა.

55. ლუის ენრიკეს ჩილავერტმა აჯობა.

63. ბენიტესის ფლანგიდან მოჭრილად დარტყმული ბურთი მეკარემ ცხრიანიდან „გამოაძრო" — კუთხურზე მოიგერია.

66. ლუის ენრიკეს საჯარიმოში ფაფხურს შედეგი არ მოუტანია.

68. ლუის ენრიკე — ჩილავერტის დუეტი, ისევ მეკარის გამარჯვებით დასრულდა.

70. ლუის ენრიკეს ბურთი თავში მოხვდა. იგი მცველთა შეცდომას არ ელოდა. არადა თავი ოდნავ რომ დაეხარა, ეგებ ეხეირა კიდეც.

76. ბენიტესს სუბისარეტამ არც ამჯერად გაატანინა. ახლოდან დარტყმული კუთხურზე გადააგდო.

82. კიკოს სისწრაფემ უმტყუნა. აიალამ დაასწრო და საჯარიმოში შექმნილი მდგომარეობა განმუხტა.

88. სარაბიას დარტყმულს სუბისარეტამ მუშტები შეაგება.

89. იერომ კარის მახლობლად დანიშნული ჯარიმიდან ბურთი კედელს მოარტყა, იქვე კიკო თავით ბურთს ეძგერა, მაგრამ ჩილავერტმა იყოჩაღა.

89. რამირესმა კარგი პოზიციიდან კარს ძალიან ააცილა.

90. ზედ საჯარიმოს ხაზზე დანიშნული ჯარიმით, მსაჯმა ესპანელებს გოლის გატანის შესანიშნავი შანსი მისცა. იეროს გოლი მოსალოდნელი იყო, თუმცა ნამეტანი ცუდად დაარტყა და ბურთიც მცველებში აიბლანდა.

# ბორა და არწივები

## ნიგერია და მათი მწვრთნელი კვლავ მერვედფინალში არიან

მატჩი №23. 19 ივნისი. პარიზი. პარკ დე პრენსი. 49 300 მაყურებელი

## ნიგერია 1:0 ბულგარეთი

1:0 იკპება (27)

როგორღაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. სიმართლე რომ ვთქვა, ბულგარელთაგან ძნელი წარმოსადგენი იყო ამ თამაშის მოგება. თუმცა, ხრისტო ბონევის ხელქვეითებმა ქულის აღებაც ვერ შესძლეს და წელს ველარავინ იტყვის, ბულგარეთი ოთხეულში გავაო. ბულგარეთი ამ ჩემპიონატზე თავის პირველ და უკანასკნელ ოთხეულში ესპანელთა წინააღმდეგლა ითამაშებს და ალბათ, სასწაულს არც იმ თამაშიდან უნდა ველოდეთ.



REUTERS პარიზიდან

ფინიდი ჯორჯს გზა მარიან ხრისტოვმა (№14) მოუჭრა

ბულგარეთის ნაკრებში ფხის გამოჩენა მხოლოდ დაბერებულ ვარსკვლავებს თუ შეუძლიათ და ამათაც, ბალაკოვს, კონსტადინოვს და სტოიჩკოვს მხოლოდ ხანდახან თუ გაახსენდებათ, რომ ოდესღაც დიდი ბოლგარნი იყვნენ. სამივეს თითოეჯერ ჰქონდა ნაღდი საგოლე მომენტი და ამათგან მაქსიმუმი კოსტადინოვის მიერ დაკრული ბურთის ძელს გახახუნება იყო.

ხრისტოს კი, მიუხედავად იმისა, რომ გვარიანი ნანეტიც აეჭრა კისერზე, მაინც არაფერი გამოსდიოდა. რა თქმა უნდა მისნაირი ფეხბურთელი ბულგარელებს არა ჰყავთ და ალბათ კარგა ხანს არ ეყოლებათ. თუმცა, მატარებელი რომ სადგურიდან გავიდა, ესეც ფაქტია. ხრისტოს შეუძლია ბარე ათ წელიწადს კიდევ აგორაოს ბურთი „სეპტემვრიისკო ზნამესა“ და „ლევსკიში“ მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე მისი ჩალიჩი დამთავრებულია. ოთხი წლისწინანდელი ზემეგოლეს, საფრანგეთში ჯერ გოლი ვერ გაუტანია.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი ეს ბულგარული ჩალიჩი (თუ ბალაკოვის მიერ აცილებულ ბურთს არ ჩავთვლით) მეორე ტაიმში დაიწყო, ე.ი. მაშინ, როცა კარგახნის დაწინაურებული ნიგერიელები თავიანთი აფრიკული უდარდელობის და სიზანტის მოსასხამში გაეხვივნენ.

ბონევის გუნდს არც „თამაში წაურთმევია“ ნიგერიელთათვის და არც რაიმე განსაკუთრებული გეგმები დაუხლართავს. ეს ღია ფეხბურთი იყო და ღია ფეხბურთში კი, როცა ერთი გუნდი ნაბიჯს უკლებს, თავდაცვა მოუწევს ხოლმე. თუმცა იმ მეორე ტაიმშიც ნიგერიელები სამჯერ-ოთხჯერ ისე გაიქცნენ, რომ თქვენი მოწონებული და ერთი ნაღდი გოლიც ვერ გაიტანეს, როცა კანუს გაჭრილი ბურთის ბლანდვა დაიწყეს ზდრავკოვის კარის წინ.

მანამდე კი იყო პირველი ტაიმი, რომელმაც ბულგარელები დაზაფრა. მათ კაპიტანს, ტრიფონ ივანოვს, ჩვენი ტრიფონივით შეეძლო ეკითხა: „ნეტავ, ისშავი კაცი ვინ იყო, ჰა“? ბედკრულ ტრიფონს მართლაც ძალიან ბევრი შავი ეხვია თავს და მათგან ერთ-ერთმა, იკპებამ იმგვარად დატანჯა, რომ ბოლოსდაბოლოს ბალახზეაც გაშხლართა და ოქროსავით ბურთიც შეუცურა ზდრავკოვს ილლიის ქვეშ.

იმ პირველ ტაიმში ნიგერიელებმა საოცრად დაჩაგრეს მეტოქე ტექნიკურადაც და ფიზიკურადაც. მათი რამდენიმე კომბინაცია ძალიან ლამაზი იყო. ამათში იგრძნობოდა იმპროვიზაციაც და მწვრთნელის ხელიც. თანაც ნიგერიელები შემსრულებლები არიან და მათთან თამაშს ესეც ართულებს ხოლმე. არანაირი განსაკუთრებული სიღრმე ნიგერიელთა თამაშში არ იგრძნობოდა, მაგრამ ეს იყო ლაღი, შემტევი და მოწინააღმდეგისთვის მეტად სახიფათო ფეხბურთი.

უკვე მერამდენედ ბორა მილუტინოვიჩი ზუსტად გრძნობს იმ საფეხბურთო ქვეყნის სულსა და ტრადიციას, სადაც სამუშაოდ ჩადის. უკვე მერამდენედ, ბორა მილუტინოვიჩი გადის მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფში, რასაც, ბოდიში და, ვერ ვიტყვით კარლოს ალბერტო პარეირას შესახებ.

ესპანელთა დამარცხების შემდეგ მილუტინოვიჩმა ალალად თქვა, მე ტყუილად მიკრავთ ტაშს, დღევანდელი დღე ფეხბურთელებმა შექმნესო. ეს თავმდაბლური ნათქვამი არ არის, ეს სამართლიანი ნათქვამია. მექსიკის, ამერიკისა და კოსტა-რიკისაგან განსხვავებით, ბორა თანამედროვე თამაშის მესაძირკვლედ არ მოსულა ნიგერიაში. სადღეისოდ, ის უფრო მიმართულების მიმცემ და გამოცდილების გამზიარებელ კაცს უფრო ჰგავს, ვიდრე მოძღვარს. და ბორამ იცის, რომ არ შეიძლება ნიგერიელებს შეტევა დაუშალო.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ გუშინდელი თამაშის პირველი ტაიმი, საუკეთესო იყო ნიგერიელთა მიერ ამ ჩემპიონატზე ნათამაშევ ოთხ ტაიმს შორის.

ამ შთამბეჭდავი პირველი ტაიმის შემდეგ, ნიგერიელებმა გადაწყვიტეს ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მაღალი კლასის პრაგმატული გუნდები იქცევიან მსოფლიოს ჩემპიონატზე და კინაღამ ცხვირიც წაიმტვრიეს. საკუთარი საჯარიმოდან გამოსროლილი გრძელი პასები არ ამართლებდა, რადგან ასეთ პასებს, თუნდ კანუსავით გრძელი ფეხები გქონდეს, სიარულით ვერ დაეწევი. ბულგარელებმა საკმაოდ ანერვიულეს მეკარე რუფაი და კოტრიალა თამაში მაინც არ გამოვიდა, რადგან ნიგერიელებმა მიიღეს ოთხი ყვითელი ბარათი, რაც დღევანდელ პირობებში ხუმრობა საქმე სულაც არ გახლავთ.

სხვაფრივ კი რა უნდა ითქვას? საუკეთესო, ნიგერიელთა წინა ხაზში კვლავ იკპება იყო. ამოკაჩის და ოკოჩას სიზუსტე აკლდათ, კანუ კი ალბათ უფრო იმიტომ გამოჩნდა, რომ ეთქვა — კანუ კვლავ გამოჩნდება. მილუტინოვიჩმა, ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, კვლავ შეცვლაზე შემოიყვანა იეკინი და ბაბანგიდა, რაც, ალბათ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ასე იქნება. მრავალფეროვანი თავდასხმა შიშის მომგვრელიცაა და საამაყოც. ოლისე კვლავ კარგად ირჯებოდა და თუმცა ოკოჩასდენი ოფლი ნაღდად არ დაუღვრია, შორიდან ძველებურად უხათქუნებდა...

რა ელის ნიგერიის ნაკრებს?

ამ კითხვას იოლად ვერ უპასუხებ, რადგან იქ, სადაც იწყება მერვედფინალი, იწყება სულ სხვა ფეხბურთი.

**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რუფაი

8. ადეპოჟუ 6. ვესტი 5. ოკეჩუკვუ 3. ბაბაიარო

7. ფინიდი ჯორჯი 15. ოლისე 10. ოკოჩა 11. ლავალი

14. ამოკაჩი 20. იკპება

8. სტოიჩკოვი 7. კოსტადინოვი

14. ხრისტოვი 6. იანკოვი 10. ბალაკოვი

4. პეტკოვი 13. გინჩევი 3. ივანოვი 2. კიშიშევი 11. ილიევი

1. ზდრავკოვი

ბულგარეთი

შეცვლა: **ხრისტოვი — 18. ბორიმიროვი (46), იკპება — 9. იეკინი (76), ამოკაჩი — 4. კანუ (68), ილიევი — 9. პენევი (69), ჯორჯი — 13. ბაბანგიდა (85), იანკოვი — 19. ბაჩევი (89)**

გაფრთხილება: **ადეპოჟუ, ოკეჩუკვუ, იკპება, ოკოჩა, ილიევი, კიშიშევი**

მთავარი მსაჯი: **მ. სანჩეს იანტენი (ჩილე)**

### მატჩის შემდეგ

**ბორა მილუტინოვიჩი**, ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ჩემი გუნდისთვის ეს მეტად მძიმე მატჩი იყო, რადგან წინა ტურში ესპანელებს ვხვდებოდით და ბიჭები იმ მომქანცველი თამაშის შემდეგ ცოტა არ იყოს დაიღალნენ. თუმცა დღეს მათი თამაშით კმაყოფილი ვარ, ვფიქრობ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში ვირჯებოდით კარგად. აი, მეორე ნახევარში კი საგანგებოდ კანუს და ამოკაჩის გამოვყოფდი — მათ საუცხოოდ ითამაშეს და გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს.

**ხრისტო ბონევი**, ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ვფიქრობ, დღეს ნიგერიელებზე უკეთ გამოვიყურებოდით. არაერთი სახიფათო მომენტიც შევქმენით, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით მოვახერხეთ. ახლა მერვედფინალში გასასვლელად ერთადერთი შანსი დაგვრჩა — ესპანელები უნდა დავამარცხოთ და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

**ვიქტორ იკპება**, ბულგარელთა კარში გატანილი გადამწყვეტი გოლის ავტორი: თანაგუნდელებმა საუცხოო პოზიცია შემიქმნეს და უფლება არ მქონდა არ გამეტანა. ბულგარელებს მწარედ ახსოვდათ ჩვენთან ოთხი წლის წინ განცდილი მარცხი და რევანშის სურვილით გამოვიდნენ, წარმატების მიღწევა არც მერვედფინალში გაგვიჭირდება. შემდეგ ეტაპზე ჩვენს სავარაუდო მეტოქეებს შორის საფრანგეთის გუნდიცაა, ვისთან შეხვედრასაც ნამდვილად არ ვისურვებდით, თუმცა თუკი ისე მოხდა უკან არ დავიხევთ და მათთანაც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. ფინიდის დარტყმული ბურთი მეკარემ კუთხურზე გადააგდო.

6. გენჩევის შორიდან გასროლილი დიდი მანძილით ასცდა კარს.

7. სანდი ოლისემ ჯარიმიდან ყუმბარისებურად დაარტყა, არაზუსტად.

17. ლავალმა ჯარიმიდან ჩაჰკიდა, იქ კი ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ იკპებას თავური არ გამოუვიდა.

24. ამოკაჩი ბურთიანად შევიდა საჯარიმოში, წაქცეულმა დაარტყა, ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

26. ადეპოჟუმ ერთი შეხებით ვიქტორ იკპებას უპასა. ამან ცრუმოძრაობით ივანოვი დაჩაგრა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს კარში გატანა არ გასჭირვებია.

28. იმავე იკპებამ ბურთი მეკარისგან დაუცველ კარში გადაგზავნა, ოდნავ არაზუსტად.

38. ლავალმა ჩააწოდა. ჩაწოლილმა ამოკაჩიმ იკპებას თავით მიწოდა. კარის წინ მდგომი მონაკოელის დარტყმა ზდრავკოვმა კარის ხაზზე გააქვავა.

40. სტოიჩკოვმა შორიდან მიწაზე დაუშვებლად დაარტყა, მეკარე ნახტომში დაეუფლა ბურთს.

42. ბულგარელმა ბალაკოვმა რეალური მომენტი გააცუდა. მან აფრიკელ მცველს გაასწრო, წინ გამოსულ მეკარეს თავზე გადაუგდო, მაგრამ ბურთმა არ ინება კარში შესვლა, ძელს ჩაუარა.

65. კოსტადინოვის დარტყმული სტოიჩკოვმა კარს უსწორა, მაგრამ ხრისტოს არ გაუმართლა, ბურთმა ძელს ჩაუფრინა.

74. ბალაკოვმა ჯარიმა ჩვეულად, მოჭრილად დაარტყა, ოდნავ არაზუსტად.

75. იკპებამ კანუს თავით დაუგდო, ამანაც მიწაზე დაუშვებლად ძლიერად დაარტყა. მეკარემ გაჭირვებით გადააგდო ბურთი კარს ზემოთ.

80. საჯარიმოში მყოფმა იეკინიმ ფინიდის მიაწოდა, მან მცველს წამით დაასწრო და ხელსაყრელი პოზიციიდან ეცადა გატანას. მეკარემ ფეხით მოიგერია.

82. კანუმ ოკოჩა მონახა, ამან, მას შემდეგ, რაც მეკარემ კარი დატოვა, ადეპოჟუს მიაწოდა, მისი ძლიერი დარტყმული კი მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.

86. საჯარიმოში მყოფი კოსტადინოვის უძლიერესი დარტყმა და ბურთი ხარიხას ხვდება.

89. ოკოჩა სამ ფეხბურთელს შუა გაძვრა და იეკინის დაუგორა, მაგრამ მან ვერ ივარგა.

90. ჯეი-ჯეი ოკოჩამ რამდენიმე ბულგარელს ჩაუდრიბლინგა, მაგრამ კარიდან გამოვარდნილმა მეკარემ დაასწრო და მეორის გატანის საშუალება არ მისცა.



REUTERS პარიზიდან

ავგუსტინ ჯეი-ჯეი ოკოჩა ბულგარელ მცველებს იანკოვს და ივანოვს ხშირ-ხშირად აბითურებდა

მატჩი №25. ბელგია — მექსიკა. ბორდო. 19³⁰

# ბელგიას უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს

ბელგიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყოველთვის ყველაზე ამოუცნობ გუნდად ითვლება. არ ყოფილა ისეთი ჩემპიონატი, სადაც „წითელ ეშმაკუნებს“ გუნდში სულ მცირე, სამი-ოთხი უმაღლესი დონის ვარსკვლავი არ ჰყოლოდეთ. და მაინც, ეს გუნდი არასდროს არც ერთ ტურნირზე არ მიუჩნევიათ ფავორიტად, თუმცა ბელგიელებს ეს გარემოება ნაკლებად ადარდებთ. ისინი მუდმივად რაღაც ახლის ძიებაში არიან და ცდილობენ, სიურპრიზები შესთავაზონ მეტოქეებს. გავიხსენოთ თუნდაც 80-იანი წლებში მათ მიერ შემოტანილი ხელოვნური თამაშგარე, რაც ასე უბნევდა თავგზას მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებებს თუ რიგით მოწინააღმდეგეებს. ან თუნდაც 1982 წელს მაშინდელ მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინასთან ესპანეთში ჩატარებული პირველობის გახსნის მატჩში 1:0 გამარჯვება რად ღირს. 1986 წელს 4:3 დამარცხება ლობანოვსკის კიევის „დინამოსთან“, რომელსაც მხოლოდ ზრდილობის გულისთვის ერქვა საბჭოთა კავშირის ნაკრები. იმ წელს მექსიკაში ყოფილმა საბჭოელებმა უძლიერესი გუნდი ჩაიყვანეს და მათ ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტადაც კი მოიხსენიებდნენ, მაგრამ ეს „რკინის მანქანა“ ვერაფერს გახდა ბებერ მელა — გი ტისის ბიჭების ორგანიზებული დაცვის წინააღმდეგ. რუსთა ძლევის შემდეგ ბელგიამ ესპანეთიც იმსხვერპლა და ყველასათვის მოულოდნელად საუკეთესო ოთხ გუნდს შორის ამოჰყო თავი. იქ კი, რომ არა თვით დიადი დიეგო მარადონა, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. მოკლედ, ბელგიელები ნებისმიერ მეტოქეს დიდ თავსატეხს უჩენენ და ეს წლევანდელი ჩემპიონატის პირველ მატჩშიც დაამტკიცეს. E ჯგუფის ლიდერად შერაცხული ჰოლანდიის ნაკრები ამაოდ უტევდა მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში. დე ბური, ოვერმარსი და კამპანია გააფთრებით ცდილობდა სამი ქულა აერთვა მოწინააღმდეგესთვის, მაგრამ ბელგიელები ხომ ყველასთვის ძნელი მეტოქეები არიან...



ენცო შიფოს (მარჯვნივ) მხარდამხარ თამაში ლოკომბა მპენზასთვის დიდი პატივია

დღეს „წითელ ეშმაკუნებს“ უეჭველი გამარჯვება სჭირდებათ. სხვაფრივ ისინი მერვედფინალის საგზურს ალბათ ვერაფრით მოიპოვებენ და ასეთი გამოსვლა კი, არა გვგონია, ბელგიელმა გულშემატკივრებმა დიდი სიხარულით მიიღონ.

მექსიკელები ჩემპიონატზე ჩამოსვლამდე ფავორიტთა შორის არ მოიხსენიებოდნენ. ის კი არა, მათ ჯგუფიდან გასვლასაც კი არავინ უწინასწარმეტყველებდა. თუმცა მანუელ ლაპუენტეს ბიჭები კორეელებთან შეხვედრაში საუცხოოდ გაისარჯნენ და სკეპტიკოს სპეციალისტებს უჩვენეს, რომ ფეხბურთს ისინიც თამაშობენ. იმ დღეს მექსიკელთა რიგებში გრძელთმიანი ქერა თავდამსხმელი ლუის ერნანდესი გამოირჩეოდა, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და არც თუ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. მექსიკის ნაკრების კიდევ ერთ ვარსკვლავ კვატემოკ ბლანკოსთან შეწყვილებული თამაში ამ ფეხბურთელს კარგად გამოსდის. საერთოდ ფორვარდთა ეს დუეტი მეტად შეთამაშებულია და მეტოქისთვის დიდი ხიფათის მოტანა ძალუძს.

— პირველ შეხვედრაში კორეელების დამარცხებით ჩვენ ჯგუფიდან გასვლის ომახიანი განცხადება გავაკეთეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელ მატჩში წარუმატებლობის შემთხვევაში ის გამარჯვება წყალში ჩაგვეყრება. ჯგუფური ტურნირის ბოლო თამაში ფავორიტ ჰოლანდიასთან გვიწევს და უნდა შევეცადოთ, შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი მათთან პაექრობაში არ გვქონდეს გადასაწყვეტი. ამისათვის კი, ცხადია, ბელგიელების დამარცხებაა საჭირო — აცხადებს წინა მატჩის გმირი ლუის ერნანდესი.

თავის მხრივ, არც ბელგიის ნაკრებია გულხელდაკრეფილი და ფეხბურთელები საერთოდ არ აპირებენ, მეტოქეს რამე დაუთმონ.

— ეს ჩვენი ბოლო შანსია, რადგან დამარცხების შემთხვევაში ალბათ შინ გაბრუნება მოგვიწევს. შევეცდებით, მეტოქეს თავიდანვე შევუტიოთ და სწრაფი გოლი გავიტანოთ. თუ ეს შევძლით, თამაში გაცილებით გაგვიადვილდება. მექსიკელებს კარგი გუნდი ჰყავთ. ისინი განსაკუთრებით კონტრშეტევებზე თამაშისას არიან ძლიერები და ამიტომ მათთვის დიდი სივრცეების დათმობა დამღუპველი იქნება ბელგიისთვის. მოკლედ, ჩვენ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს და დღეს მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ — ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“ მოთამაშე ლუკ ნილისი მექსიკელებთან შეხვედრას შემართებით ხვდება და გამარჯვების დიდი იმედი აქვს.

ბელგიელი გულშემატკივრები დღევანდელ თამაშს გულის ფანცქალით კიდევ ერთი ფაქტის გამო ელიან. „წითელი ეშმაკუნების“ მთავარმა მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა მატჩის წინ განაცხადა, რომ ძირითად შემადგენლობაში, წინა თამაშისგან განსხვავებით, ენცო შიფოს დააყენებს. გახსოვთ, ალბათ, ჰოლანდიელებთან შეხვედრისას ეს ვეტერანი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოედანზე არ გასულა. თუმც ამის საბაბი მწვრთნელის საგანგებო ტაქტიკური მონახაზი ყოფილა.

— ჩვენს მეზობლებთან თამაშისთვის ყოველთვის საგანგებოდ ვემზადებით და საამისოდ უჩვეულო ტაქტიკასაც ვიყენებთ. ვცდილობთ, ჰოლანდიასთან არ წავაგოთ, რადგან ჩვენი გულშემატკივარი მათთან მარცხს სხვა ნებისმიერ წარუმატებლობაზე უფრო მტკივნეულად აღიქვამს. ნიდერლანდების ნაკრები სადღეისოდ მეტად ძლიერ ფორმაშია და ამიტომ იმ შეხვედრაში ჩვენ თამაშის დაცვითი ვარიანტი ავირჩიეთ. ენცოს მინდორზე არყოფნა სწორედ ამით იყო გამოწვეული, თორემ მისი დონის ფეხბურთელზე უარის თქმა მხოლოდ არანორმალურს თუ მოუვა აზრად. ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ შიფოს ძირითად შემადგენლობაში არ დავაყენებდი, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ეს სრული სიცრუეა. ვეტერანი საფრანგეთში იმისთვის წამოვიყვანე, რომ მისი გამოცდილებისა და ოსტატობის დიდი იმედი მქონოდა. ვფიქრობ, ახლა დადგა დრო, მან ნდომა გაამართლოს — აცხადებს მწვრთნელი.

დღევანდელი შეხვედრა ბორდოში გაიმართება, ქალაქში, სადაც ენცო შიფომ ათიოდე წლის წინ თავის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი სეზონი ჩაატარა. 80-იანი წლების ბოლოს ბელგიელი საფრანგეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე „ბორდოს“ შეუერთდა, რომელსაც მაშინ საფრანგეთის ნაკრების წლევანდელი თავკაცი ემე ჟაკე წვრთნიდა. იმ დროისთვის შიფო ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ნახევარმცველად ითვლებოდა და ამიტომ ახალ კლუბში ვარსკვლავისგან ყველა სასწაულს ელოდა. მაგრამ ენცოს თამაში არ წაუვიდა და ის სეზონი ფაქტობრივად ჩააგდო. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, შიფოს კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, ნაცნობ „სტად ლე კიურზე“ გამოვიდეს უკვე მშობლიური ნაკრების შემადგენლობაში და ბორდოელებს დაუმტკიცოს, რომ მათ ნამდვილი შიფო ჯერ კიდევ არ უნახავთ.

— ლიკენსის განცხადება, ჩემი სასტარტო შემადგენლობაში დაყენების შესახებ სამოთხიდან ჩამვარდნილ საჩუქარს ჰგავდა. ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ამ სიტყვებს შიფო ამბობს, მაგრამ ეს მართლაც ასეა. ხვალ სანუკვარი დილა გამითენდება, რადგან ამ მომენტს დიდი ხანია ველოდი — ამბობს ბელგიელი ვეტერანი, რომელიც ერთი პერიოდი ნაკრებში თამაშს საერთოდ უარობდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც თებერვალში შიფო ბელგიელთა მიერ ჩატარებულ ერთ-ერთი ამხანაგური მატჩისთვის არ გამოიძახეს, რამაც უაღრესად გაანაწყენა და მწვრთნელებს გაებუტა. თუმცა, როგორც ჩანს, შიფოსთვის ეროვნულ გუნდში ასპარეზობა მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს და დღეს მინდორზე მისი ხილვისას უნდა ველოდეთ, რომ იგი ჩვეულად გაიბრწყინებს.

**გუნდების სავარაუდო შემადგენლობა**

**ბელგია:** დე ვილდე, ბორკელმანსი, კლემენტი, სტალენსი, დეფლენდრე, ვიდოვიჩი, ვილმოტსი, ვან დერ ელსტი, შიფო, ოლივეირა, ნილისი

**მექსიკა:** კამპოსი, დავინო, ლუნა, სუარესი, ლარა, პარდო, ორდიალესი, რამირესი, გარსია ასპე, ბლანკო, ერნანდესი

**ირაკლი ხმელიძე**

# დიდგულა დებიუტანტები იქადნიან

იაპონიამ დღეს, ნანტში ხორვატებთან თუ წააგო, მნიშვნელოვანი თამაში 2002 წლამდე არ ექნება.

ფრე მაინც უნდა მოახერხოს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძელმა. ფრეს შემთხვევაში H ჯგუფიდან გასვლის შანსს კიდევ შეინარჩუნებს, რადგან ბოლო შეხვედრა იამაიკასთან უწევს, ხოლო მისი დღევანდელი მოწინააღმდეგე, ხორვატია არგენტინის კლანჭებში ჩავარდება. მართალია, არგენტინას უკვე თავი ქუდში ექნება. მაგრამ პირველი და მეორე ადგილების განაწილებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა. შეგახსენებთ, რომ H ჯგუფში მეორე ადგილზე გასული ინგლისის ჯგუფის პირველს ანუ სავარაუდოდ თავად ინგლისს შეხვდება მერვედფინალში, ხოლო H-ის პირველი გუნდი იმავე ინგლისის ჯგუფის მეორეს, სავარაუდოდ რუმინეთს გადაეყრება.



ტაკეში ოკადა

იაპონიამ არგენტინასთან უკვე ითამაშა და 0:1 წააგო. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს პირველობათა დებიუტანტები არიან, ეს წაგება იაპონელებმა იუკადრისეს, მაგრამ ორგზის ჩემპიონთა წინააღმდეგ გაბედული თამაშით ეტყობა მაინც კმაყოფილნი დარჩნენ და ახლა ხორვატებთან საკმაოდ დიდ გულზე არიან. სხვა შორის, იაპონია და ხორვატია შარშან ამხანაგურ მატჩში, ტოკიოში შეხვდნენ ერთმანეთს. იმ შეხვედრაში მასპინძლებმა 4:3 მოიგეს.

მაგრამ ხორვატია ის გუნდი არაა, რაიმე იოლად დათმოს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ხორვატებს ვამპირული ჟინი აქვთ და ომსა და ფეხბურთს ერთნაირად აღიქვამენ. გარდა ამისა ხორვატ ფეხბურთელთა ახლანდელ, ცეცხლგამოვლილ თაობას საერთაშორისო სარბიელზე ომახიანი სიტყვის თქმის ბოლო შანსი აქვს. ასე რომ, დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ეჭვი არაა ყოფილი იუგოსლავიელები იაპონიასთან გამარჯვებას აპირებენ და არ ამით გაძლებიან. ისინი ყველა ღონეს იხმარენ რათა არგენტინა ზურგსუკან, მეორე ადგილზე მოიტოვონ და მერვედფინალში ინგლისს (დღეს ასე ჩანს) მიაჩეჩონ. ხორვატიამ პირველ შეხვედრაში იამაიკას 3:1 მოუგო.

იაპონელთა ბედად ხორვატმა ვარსკვლავმა ზვონიმირ ბობანმა ორიოდ დღის წინ, ვარჯიშზე კუნთი გაიჭიმა. ექიმების თქმით „მილანის“ მოთამაშე იაპონელების წინააღმდეგ ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

და მაინც, ამომავალი მზის ქვეყნის შვილთა მწვრთნელი ტაკეში ოკადა ფრთხილად ლაპარაკობს, თუმცა მწვრთნელები ხომ საერთოდ დიპლომატი ხალხია.

„ხორვატიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია. არ გამოვრიცხავ, რომ იგი არგენტინასაც სჯობია, ამიტომაც ძალიან ძნელი თამაში გველის. ჩვენ ფრეს გულისთვის მაინც არ გავალთ მოედანზე, მიზნად მხოლოდ გამარჯვება გვექნება დასახული, მაგრამ შანსი ალბათ 50 პროცენტზე ნაკლები გვაქვს. ხორვატებს იამაიკელების წინააღმდეგ ვუცქერდი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ისინი უაღრესად ნიჭიერნი არიან. თან გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული, ორგანიზაციული თვალსაზრისით წუნი არ მოეძებნება. სხვათა შორის, ამ ამბავმა ფრიად გამაოცა“ — ბრძანა ოკადამ.

როგორც მოგახსენეთ გასულ წელს, ივნისში, იაპონია და ხორვატია კირინის თასზე შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ იაპონიამ დაამარცხა ევროპის ახალი სახელმწიფოს ნაკრები და დარწმუნდა, რომ არც ისე ჩაჩანაკია, მაგრამ იმ შეხვედრის ოქმში არ ჩანს ბობანის და დავორ შუკერის გვარები.

ერთხელ უკვე ვთქვით, რომ იაპონელები დიდ გულზე არიან. მაგალითად, ცენტრალური მცველი იუტაკა აკიტა აცხადებს:

„სულაც არ ვფიქრობ, რომ ხორვატიის დამარცხება შეუძლებელია. ჩვენ ამ გუნდის წინააღმდეგ ერთხელ უკვე ვითამაშეთ და გვაქვს გარკვეული მოსაზრებანი თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ მათთან“.

ახლავე ცნობილია ერთი რამ: იაპონია დღეს 90 წუთის განმავლობაში დაუღალავად ირბენს, იშრომებს, გონება არ გაეფანტება და ბრწყინვალედ იქნება ორგანიზებული.

ბრძოლაში მიიწევს თავდამსხმელი შოჯი ჯოც. იგი ამბობს:

„ინდივიდუალურად ხორვატები ძლიერები ჩანან, მაგრამ შეუძლიათ თუ არა ერთსულოვანი თამაში, ჩემთვის, მაგალითად ჯერ კიდევ საკითხავია. ჩვენი უპირატესობა უკეთესი ორგანიზაციაა, გუნდი ვართ და ამიტომ წაგებას არ ვაპირებთ“.

მატჩი №26. იაპონია — ხორვატია. ნანტი. 16³⁰



ხორვატები საომრად ემზადებიან

იაპონია, რომ გუნდია და არა თერთმეტი ადამიანის კრებული, ტულუზში, არგენტინელებთან თამაშის დროს გამოჩნდა. ვარაუდობენ, რომ აზიელები დღეს მოედანზე იმავე შემადგენლობას გაიყვანენ, რაც პირველ შეხვედრაში ჰყავდათ.

ცალკეულ იაპონელ ფეხბურთელებს. პირადი მოტივებიც აქეზებს დღეს თავის გამოსაჩენად. ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა არ მალავს, რომ ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ევროპაში გადმობარგდება. 21 წლის მოთამაშეს სურს დღესაც მოაწონოს თავი ესპანური „ესპანიოლის“ ხელმძღვანელებს.

ხორვატები კი მაინც უფრო პოპულარული და საფეხბურთო სამყაროში ძლიერად მიჩნეული ხალხია. მიზეზი ის გახლავთ, რომ თუმცა ქვეყანამ ახლახანს მიაღწია პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რის გამოც მისი ნაკრები პირველ ნაბიჯებს დგამს, ფეხბურთელები დიდ სარბიელს შეჩვეულნი არიან. კარგი მაგალითია რობერტ პროსინეჩკი. ეს კაცი ფეხბურთის ისტორიაში გახდა პირველი, ვინც ორი სხვადასხვა ნაკრების შემადგენლობაში გაიტანა გოლები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ეს ქვეყნები იუგოსლავია და შემდეგ ნამდვილი სამშობლო, ხორვატია გახლავან.

სხვათა შორის, პროსინეჩკი დარწმუნებულია, რომ ხორვატია მერვედფინალში გავა.

იაპონიის მსგავსად ხორვატიაც მსოფლიოს ჩემპიონატების დებიუტანტია.

**გუნდების სავარაუდო შემადგენლობები**

**იაპონია:** კავაგუჩი, ნარაჰაში, სომა, აკიტა, ნაკინიში, იამაგუჩი, ნანამი, ნაკატა, ჰირანო, ჯო, ნაკაიამა

**ხორვატია:** ლადიჩი, სტიმაჩი, სოლდო, ბილიჩი, სიმიჩი, იარნი, ასანოვიჩი, ბობანი (საეჭვოა), პროსინეჩკი, სტანიჩი, შუკერი.

**პაპუნა ქედია**

# ნუ იქნება ოღონდ ბუნტი

**მატჩი №27. ჰოლანდია — კორეა. მარსელი. 23⁰⁰**

ჰოლანდიამ პირველი თამაში ვერ მოიგო, ბელგია დაუდგა მაგრად. არადა ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ამბიციები საყოველთაოდაა ცნობილი. ჰოლანდიელები 70-იან წლებში ორჯერ იყვნენ მსოფლიოს პირველობის ფინალში, და სულ ბოლო, გადამწყვეტი შეხვედრა ორივეჯერ მასპინძლებთან წააგეს, 1974 წელს გერმანიასთან, 1978 წელს არგენტინასთან.

გარდა ამისა ჰოლანდიელებს სიამაყის საბაბს მსოფლიოში გავრცელებული ტოტალური ფეხბურთის ავტორობაც აძლევთ. მათ, უფრო კონკრეტულად კი მათმა ძველმა მწვრთნელმა რინუს მიხელსმა უძღვნა დედამიწას ახალი საფეხბურთო ერა, სტილი, რომელიც აიტაცეს და განავითარეს.

ჰოლანდიელების ამბიციას ძველი ფეხბურთელებიც განაპირობებენ. ლეგენდარული მოთამაშე და დიდი მწვრთნელი იოჰან კრუიფი, მარკო ვან ბასტენი, ეს სახელები კაცობრიობას გაჰყვება მანამ, სანამ თავად ფეხბურთი იცოცხლებს.

დღეს კი ჰოლანდიელი ვარსკვლავი დენის ბერხკამპია, კაცი რომელიც, გუნდს სჭირდება.

ბერხკამპა „მონაკოს" საწვრთნელ ბაზაზე უკვე ივარჯიშა, ჩვეულ ამპლუაში მოსინჯა ძალა და იმედოვნებს, რომ დღეს კორეასთან ათამაშებენ.

„არსენალის" ფეხბურთელი, მოგეხსენებათ, ჰოლანდიის ნაკრების წამყვანი ფიგურაა, რომელიც ტრავმის გამო ექვსი კვირის მანძილზე ვერ თამაშობდა. შესვენების შემდეგ პირველად, გასულ კვირას, ბელგიასთან შეადგა მოედანზე ფეხი. მატჩში, რომელიც უგოლოდ დამთავრდა ბერხკამპმა ბრძოლაში 25 წუთი დაჰყო.

კორეასთან ჰოლანდიელებს იგი ძალიან სჭირდებათ, თან მთელი 90 წუთის განმავლობაში. მიზეზი: გასულ შაბათს, მოედნიდან გააძევეს პატრიკ კლუივერტი, რომელიც ორ თამაშს გამოსტოვებს.

მწვრთნელმა, გუს ჰიდინკმა სამი დღის წინ განაცხადა: „ჩვენ წვრთნის ფეთქებად მეთოდს ვიყენებთ. გუშინ ზოგიერთ ფეხბურთელთან შედარებით მსუბუქად წავიმუშავეთ, დღეს დატვირთვას მოვუმატებ და სხვა მოთამაშეებსაც ჩავრთავ, ხვალ კიდევ უფრო გავზრდით, ინტენსივობას. საკუთრივ ბერხკამპი კორეის წინააღმდეგ ვგონებ ერთ საათს გაძლებს. იქნებ მთელი საათნახევარიც ითამაშოს. ყველაფერი მის მდგომარეობაზეა დამოკიდებული".

ბერხკამპმა თქვა, დატვირთვებს ნელნელა ვზრდი და ორგანიზმიც მომყვება, მწამს კვირის ბოლოსთვის იმ სიმწვავესაც აღვიდგენ, ჩვეულებრივ რომ მახასიათებსო.

„ყველაფერი საკმაოდ კარგად მიდის. ვფიქრობ კიდევ ერთი ან ორი დღე ასეთივე მეთოდით უნდა ვივარჯიშო" — განაცხადა ვარსკვლავმა.

მოკლედ, ამ საღამოს მარსელის „ველოდრომზე" ბერხკამპს ველით, მაგრამ არის ასეთი კითხვა: საკმარისია ამ ფორვარდის მოედანზე ყოფნა და თუნდაც კარგი თამაში იმისათვის რაც ჰოლანდიელებს სურთ?

ადრეც გვიხსენებია, რომ კრუიფს თავისი გუნდისა არ სწამს და არა იმიტომ, რომ მისი თანამემამულენი ბურთს რიგიანად ვერ აგორებენ, არამედ ხასიათის გამო.

ჰოლანდიელთა ხასიათზე რომ ლაპარაკობდა, კრუიფი დაჟინებას, სიცოცხლის ფასად მიზნის მიღწევის უნარს გულისხმობდა, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება. ჰოლანდიელები სულ ერთმანეთს ეჩხუბებიან.

ოდესღაც, 90-იანი წლების დასაწყისში ბრაზილიელი რომარიო „ეინდჰოვენში" თამაშობდა, საიდანაც ესპანურ „ბარსელონაში" გადავიდა. მაშინ, რომარიოს ბევრს ეკითხებოდნენ ჰოლანდიიდან წასვლის შესახებ. ერთხელ, ერთ-ერთ კორესპონდენტს ასე უპასუხა, ჰოლანდია პატარა ქვეყანაა და როგორც ყველგან, პატარა ქვეყნებში, იქაც კლანური აზროვნებაა გამეფებული, ვიღაცა ვიღაცასთან არის შეკრული, ვიღაც ვიღაცის მეგობარი ან ბიძაშვილია, ამიტომაც დამოუკიდებლად რაიმეს მიღწევა ძნელიაო.

ეს ამბავი ქართველებს არ გვესწავლება. ეჭვი არაა ჰოლანდიელებზე ათასჯერ უკეთ ვიცით, თორემ „ბიძაშვილობაში" მათ დონეზე რომ ვიყოთ, ქვეყანაც მათნაირი გვექნებოდა. რომარიოს სიტყვებში კი ეჭვის შეტანის უფლება არ გვაქვს.

მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ ჰოლანდიის ნაკრებში ყოველთვის მოიძებნება ერთი ან რამდენიმე ფეხბურთელი, თანაგუნდელთან ან თანაგუნდელებთან ცუდი ურთიერთობა რომ აქვს. რა გასაკვირია, რომ ასეთი გუნდი ჩემპიონი ვერ გახდება. მაგრამ ახლა, საფრანგეთში ჩასული ჰოლანდიელები იფიცებიან, ყველანი მეგობრები ვართო.

გეხსომებათ, 1994 წელს გულიტმა ჩემპიონატის დაწყებამდე, ორიოდ კვირით ადრე გამოაცხადა ამ ხალხთან ერთად შეჯიბრებაზე წასვლა არ მინდაო და შინ დარჩა. 1978 წელს იოჰან კრუიფმა არ ინება არგენტინაში ჩასვლა. დღემდე ამბობენ კრუიფი რომ ყოფილიყო, ჰოლანდია ოქროს თასს აუცილებლად მოიპოვებდაო, მაგრამ ყველაზე დიდი ამბები ევრო 96-ზე დატრიალდა.

1996 წელს ედგარ დავიდსმა საჯაროდ განაცხადა მწვრთნელს, გუს ჰიდინკს ფეხბურთელთა შორის ფავორიტები ჰყავსო და ატყდა ერთი ორომტრიალი.

დღეს ჰიდინკს საფრანგეთში იგივე ხალხი ჰყავს წაყვანილი. გუნდში ედგარ დავიდსიცაა და ისინიც, დავიდსი ორი წლის წინ ფავორიტებს რომ ეძახდა. რა გამოიცვალა? ამბობენ დავიდსი გაიზარდა და აღარ ეშინია, რომ ზანგობის გამო ვინმე შეურაცხყოფას მიაყენებსო.

და მაინც, ჯერ ჩემპიონატის დაწყებიდან ცოტა დროა გასული, ჰოლანდიელებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარეს და თუ საქმე საქმეზე მიდგა, ჩხუბს ყოველთვის მოასწრებენ.

ჩხუბის მიზეზი რაღა იქნება? ძველი მიზეზი ექნება ჩხუბს: ყველას უნდა თავად ითამაშოს ძირითად შემადგენლობაში, თავი სხვაზე უკეთესი ჰგონია.

მაგრამ ჰიდინკი იხტიბარს არ იტეხს და ამბობს, რომ მის ფეხბურთელებს საქმისადმი ახლებური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ. მწვრთნელის აზრით დღეს ჰოლანდიის ნაკრების წევრები პირად სურვილებს საერთო მიზანს უმორჩილებენ.

„ყველანი საერთო ამბიციას უხამებენ თავისას. თამაში ყველას სურს, მაგრამ თითოეულს საკუთარი როლი ეკისრება. გაუგებრობა არ არსებობს. ვარჯიშებზე უნდა ნახოთ, მოედნიდან ძალით ვაგდებ ფეხბურთელებს, რომელთაც მეტის და მეტის მიღწევა სურთ". — ბრძანებს მწვრთნელი.

სხვათა შორის, ჰიდინკის სიტყვების დასტურად ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ევრო 96-ის ამბების გახსენება აღარ ისურვეს. გუნდში ეს აკრძალული თემა გახდა.

„აღარ მინდა იმაზე საუბარი რაც ორი წლის წინ მოხდა" — ამბობს კლარენს ზეედორფი.

„ამაზე მაშინ ვლაპარაკობდით, ახლა კი მორჩენილი ამბავია. მას მერე ორი წელიწადია გასული" — ეს სიტყვები თეთრკანიან, ვეტერან და გუნდში გავლენიან ფრანკ დე ბურს ეკუთვნის.

დავიდსი, 1996 წლის მისტერ ინტრიგანი, ჩუმადაა. ის ჟურნალისტებს ემალება და საწვრთნელი მოედნიდან პირდაპირ ნომერში მიდის.

გუნდში ატმოსფერო რომ ნორმალურია ჰიდინკის დამხმარე ტრიუმვირატსაც ეტყობა. იოჰან ნეესკენსმა, ფრენკ რაიკაარდმა და რონალდ კუმანმა ერთად 200 მატჩი ჩაატარეს ნაკრებში. ისინი გუნდის ვარჯიშებში დიდ მონაწილეობას იღებენ, თავადვე დარბიან ფეხბურთელებთან ერთად, მაგრამ ამბობენ, მათი მთავარი ფუნქცია მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის ურთიერთობათა მოწესრიგებააო.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სამეული ჰიდინკთან უფრო ახლოსაა ვიდრე ჩვენ. თან ძველი ამბებიც იციან და ახალიც" — ამბობს ზეედორფი.

და რაკი ყველაფერი კარგადაა, დღეს ჰოლანდია კორეას მოუგებს. თუ ვერ მოუგო და...

**გუნდების სადღეისო შემადგენლობები**

**ჰოლანდია (საბოლოო):** ვან დერ სარი, ვინტერი, სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, რ. დე ბური, იონკი, დევიდსი, ოვერმარსი, კოკუ, ბერხკამპი

**კორეა (სავარაუდო):** კიმ ბონ ჯი, ლი ხანგ იონგი, ლი მან სუნგი, ჰონგ მიუნგ ბო, კო იონგ სო, კო იონგ სო, იო სენგ ჩუი, კიმ ტაე იანგი, იანგ უნ სეკი, კიმ დო ჰონი, ნო იონგ იონი

**ილია ბაბუნაშვილი**

სარბიელის არქივიდან




თეთრია თუ შავია, ყველა მეგობარია — კლარენს ზეედორფი და დენის ბერხკამპი


სარბიელი

**სპორტული ლატარია "CROCO"**

FRANCE 98

**მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.**

**კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.**

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ივნისი** | | | |
| ბელგია — მექსიკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ჰოლანდია — კორეა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| იაპონია — ხორვატია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 1:0 | 3,5 | 3,2 | 1,6 |
| **21 ივნისი** | | | |
| არგენტინა — იამაიკა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| გერმანია — იუგოსლავია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აშშ — ირანი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| **22 ივნისი** | | | |
| კოლუმბია — ტუნისი | 1,5 | 3,2 | 5,0 |
| რუმინეთი — ინგლისი | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| **23 ივნისი** | | | |
| ბრაზილია — ნორვეგია | 1,3 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შოტლანდია — მაროკო | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ჩილე — კამერუნი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| იტალია — ავსტრია | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ინტერტოტოს თასის გათამაშება.**

პირველი წრე. პირველი მატჩები. 20-21 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ალთაი (თურქეთი) — შემროკ როვერსი (ირლანდია) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| ეთნიკოსი (საბერძნეთი) — ორგრიტე (შვედეთი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) — დებრეცენი (უნგრეთი) | (2,5-1,35) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ლეიფტური (ისლანდია) — ვორსკლა (უკრაინა) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ებიუ ვეილი (უელსი) — კონგსვინგერი (ნორვეგია) | (7,5-1,05) | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| ნაციონალი (რუმინეთი) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) | (1,6-1,8) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| აუსტრია (ვენა, ავსტრია) — პოლონია (პოლონეთი) | (1,25-3,1) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბალტიკა (რუსეთი) — სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| სტაბეკი (ნორვეგია) — ვოევოდინა (იუგოსლავია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| დრაგოვოლიაცი (ხორვატია) — ლინგბიუ (დანია) | (1,7-1,7) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტაურისი (სლოვაკეთი) — ომაგ თაუნი (ირლანდია) | (1,1-5,0) | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) — ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) | (7,5-1,05) | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| დიოშდიორი (უნგრეთი) — შლიმა (მალტა) | (1,1-5,0) | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| ტურკუ (ფინეთი) — სიონი (შვეიცარია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვაგური (ფარერები) — ბობი (ბრნო, ჩეხეთი) | (7,5-1,05) | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| სენტ გალენი (შვეიცარია) — ტულევიკი (ესტონეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| დინაბურგი (ლატვია) — დუკლა (სლოვაკეთი) | (3,1-1,25) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ინკარასი (ლიტვა) — ბაქი ფეხლესი (აზერბაიჯანი) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| ტორპედო (საქართველო) — ერებუნი (სომხეთი) | ანგარიში — 5,0 | | | |
| სკოპიე (მაკედონია) — ოლიმპია (სლოვენია) | (1,8-1,6) | 1,9 | 2,9 | 3,6 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების შეტანის ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

# მოკვეთილნი

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირების მეორე წრე არ გასრულებულა, მსაჯებმა კი ცხრა ფეხბურთელის გაძევება მოასწრეს. არბიტრთა სიმკაცრე ისეთი სისწრაფით მიექანება წარმოუდგენელი სიმაღლეებისკენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე გუნდებს ლამის მესამე შემადგენლობებით თამაში მოუწევთ.

ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფიფამ ფეხბურთელთა უსაფრთხოებაზე ვზრუნავთო და ახალი წესი მიიღო — ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე, სანამ ფეხბურთი იარსებებს, მოთამაშეებზე უკნიდან თავდასხმა არც მეტი, არც ნაკლები, უმალ გაძევებით დაისჯებიანო. კანონმა მსოფლიოს თითქმის ყველა მცველი დაზაფრა — მაშ, როგორ უნდა შევებრძოლოთ მოუხელთებელ თავდამსხმელებს?

საფრანგეთი 98 დაიწყო. უკნიდან თავდასხმები მაინც მოხდა, თუმცა არანაირი ნიშანწყალი ჩანდა იმისა, რომ მსაჯები ახალ წესს პრაქტიკაში იყენებდნენ. ისინი ისევე როგორც უწინ, სიტყვიერი გაფრთხილებებით შემოიფარგლებოდნენ. ეგ იყო და ეგ. აქ კი აევსო ფიფას მოთმინების ფიალა — 17 ივნისს მთელი სიმკაცრით განაცხადა, თუ წესს არ შეასრულებთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე არაფერი გესაქმებათო. რისხვას უმალ ორი მსაჯის დისკვალიფიკაცია მოჰყვა — ესპანელი გარსია არანდა და ნიგერიელი ბუშერდუ უკვე ტურნირზე მივლენილ მსაჯთაგან ჩამოწერილნი არიან.

და ფიფას რისხვამ რა შედეგი გამოიღო? — შეშინებულ მსაჯთა, ყოვლად გაუმართლებელი მოქმედება. გუშინწინ, პარასკევს დანია — სამხრეთ აფრიკის კოლუმბიელმა მსაჯმა ხაირო ტორო რენდონმა ხალხი საგონებელში ჩააგდო, ფეხბურთელები კი აღაშფოთა. მსაჯმა სამი ფეხბურთელი გააძევა, ხოლო თუ იმავე დღეს, მეორე შეხვედრაში გაგდებულ ორ მოთამაშეს მივუმატებთ, უნებურად იმასაც გავიფიქრებთ, რომ მალე მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხბურთელები შეიძლება აღარც დარჩნენ.



ზიდანი თავისივე გამოისობით ორ მატჩს გააცდენს

სარბიელის არქივიდან



ნილსენი (№7) თანაგუნდელის გამძევებელ ტორო რენდონს შეელაპარაკა

სარბიელის არქივიდან

ᲒᲐᲫᲔᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

— ვერ გამიგია, მსაჯი რას მერჩოდა. წითელი ბარათის ღირსი ნამდვილად არ ვიყავი. იგი, როგორც ჩანს, ფიფას თავკაცთა თვალში კარგი არბიტრის სახელის დაგდებას ცდილობდა, ამის გამო კი ვერც ხვდებოდა, რომ თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებდა — დანიელთა გაძევებული მცველი იენს ჰოგი გამძევებლის მოქმედებამ აღაშფოთა და მწარედ, ირონიულად საუბრობდა.

ჰოგის წუხილი გასაგებია. დავუშვათ მოხდა და დანიამ ჯგუფური ტურნირი ვერ დაძლია, მაშინ გამოდის, რომ ეს იენს ჰოგის ბოლო შეხვედრა ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ასე უსახელოდ ტურნირს გამოთიშვა კი არავის რომ სურს, ცხადია.

წუხდა ჰოგი, წუხდა ვიგჰორსტიც, რომელიც მსაჯს ასევე გაეძევებინა. გაგდებულებს საუბრის სურვილი რომ არ ჰქონდათ, სავსებით გასაგებია, სამაგიეროდ დანიელთა შვედი მწვრთნელი ბო იოჰანსონი გახლდათ აღშფოთებული.

— არბიტრი, მეტი რომ არ ვთქვა, სულელურად იქცეოდა. არ შეიძლება, მავანის გულის მოგების მიზნით სხვა გაამწარო. ეს, რბილად რომ ვთქვა, უზრდელობაა. ტიორო რენდინი ფიფას თავკაცთა გახარებას შეეცადა! დიახ, ამას სრული სერიოზულობით ვფიქრობ და ვამბობ! მისნაირ არბიტრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე არაფერი ესაქმებათ.

არავინ იცის, ვისი სიამოვნებას შეეცადა ტორო რენდინი, ან კი საერთოდ თუ ცდილობდა ამას, მაგრამ ის, რომ ფიფას რამდენიმედღისწინანდელ რისხვას იგი ძლიერ რომ შეეშფოთებინა, მის მოქმედებაში კარგად ჩანდა. იმ შეხვედრაში, გარდა სამი გაძევებული ფეხბურთელისა, არბიტრმა კიდევ შვიდი (!) გააფრთხილა, ეს კი, მეთანხმებით, ძალიან, ძალიან ბევრია.

არ უნდა იმას თქმა, რომ უხეში ფეხბურთელი არათუ უნდა გააფრთხილო, არამედ თუ გასაგდებია, უნდა გააძევო კიდეც, მაგრამ დანია — სამხრეთ აფრიკას მატჩში ასე არ იყო. იმ თამაშში მსაჯმა ლამის ყოველი მეორე ფეხბურთელი გააფრთხილა, თან სრულიად ჩვეულებრივ ორთაბრძოლისას. რაც არ უნდა იყოს, ფეხბურთი ვაჟკაცური სპორტია, რომელშიც გამარჯვებისთვის ბოლომდე ბრძოლაა საჭირო, ბრძოლაში კი ძიძგილაობა და ჯაჯგური ფეხბურთი სპორტია და არა ბალეტი. გაძევებულ დანიელთა შუაში მსაჯმა სამხრეთაფრიკელი პირიც არ დაინდო და ისიც მიაბრძანა მოედნიდან — ამჯერად მსაჯის საქციელი სავსებით სამართლიანი გახლდათ. უხეშობას და ფეხბურთს ერთმანეთთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკელის გაძევება სავსებით სამართლიანი იყო „ბაფანა ბაფანას" მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე მაინც აღშფოთდა:

— ეს ფეხბურთელთა შეხვედრა კი არა მსაჯის ბენეფისი გახლდათ. შევყურებდი მას და გაოცებული ვიყავი. მის სახეზე სიამოვნება ამოვიკითხე. ასე მეგონა, ყურადღების მიქცევა ეწადა და საამისოდ არაფერს თაკილობდა.

არა, კოლუმბიელი მსაჯი ფეხბურთელთა დასასჯელად მართლაც ინიციატივას იჩენდა. სხვათა შორის, ბოლო 12 წლის მანძილზე დანიის ნაკრებში თამაშისას მხოლოდ ორი ფეხბურთელი გაეძევებინათ, გუშინწინ კი ტორო რენდონმა ეს ციფრი გააორმაგა.

## ᲖᲘᲖᲣ ᲒᲐᲣᲮᲔᲨᲔᲑᲣᲚᲐ

მას პატიოსან კაცად იცნობდნენ. მისგან ასეთ რამეს არავინ მოელოდა, მაგრამ როგორც ყველა ერთხელ იგიც შეცდა — არაბ მეტოქეებს ლაზათიანად ჩააზილა წიხლი და სათანადოდაც დაისაჯა. მექსიკელ მსაჯ არტურო ბრისიო კარტერს სრულებითაც არ მორიდებია ფრანგთა იმედის გაძევება.

— მსაჯის მოვალეობაა უსაქციელობა აღკვეთოს. მე ჩემი საქმე პირნათლად შევასრულე. ალბათ არც არავინ შემეკამათება — ზიდანის გამძევებელი დამაჯერებლად საუბრობდა. ისიც სათქმელია, რომ პირველ შეხვედრაში მსაჯის მოქმედებასთან შედარებით, მექსიკელი არბიტრი უშეცდომო გახლდათ.

— არ ვიცი, რა დამემართა. რატომ ვიუხეშე ვერ წარმომიდგენია. სისულელე ჩავიდინე, უდიდესი სისულელე — ეს ზიდანის სიტყვებია, თუმცა ახლა გვიანია. როგორც არ უნდა ითხოვოს შეწყალება ზინედინმა, მას მინიმუმ ერთი შეხვედრის გამოტოვება მაინც მოუწევს, თუ მეტის არა.

საინტერესოა, მართლაც რა დაემართა ზიდანს? საუდელი მცველი საჭიროებისამებრ ფეხებში ჩაუხტა, მსოფლიოში ერთ-ერთმა უძლიერესმა გამთამაშებელმა კი მეტოქეს წიხლი დააზილა. ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია ზიდანის ასეთი საქციელი. ეს ალბათ თავად ფეხბურთელმა თუ იცის, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ იგი ახლა შემდეგ შეხვედრაში დანიელებთან ვერ ითამაშებს. მისი არყოფნით კი ისედაც რამდენიმე მოთამაშემოსაკლისებულმა საფრანგეთის ნაკრებმა, რომ იზარალოს, არაა გამორიცხული.

— სამწუხაროა, ზიდანმა რომ იუხეშა. იგი ნაღდად არაა ასეთი. ვერ გეტყვით, რა მოხდა. შესაძლოა, ნერვები ვერ მოთოკა, არ ვიცი, ვერ გეტყვით. ძალიან მეწყინა მისი გაძევება. გივარში და დიუგარი შემდეგ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ, ახლა მათ ზიდანიც დაემატა, ეს ძალიან სამწუხაროა, ძალიან — ფრანგთა მწვრთნელი ემე ჟაკე გუნდის ბურჯის უსაქციელობას ნანობდა.

ზინედინს მასმედიაც გაუჯავრდა, თუმცა ფეხბურთელს მათთვის რომ არ ეცალა, ეს ცხადია.

საფრანგეთის ნაკრები ქვეჯგუფის ბოლო მატჩს დანიელებთან ზიდანის გარეშე ითამაშებს.

## ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ

თავში მსაჯთა გააქტიურებაზე ვთქვი. აგერ უკვე კვირანახევარია, მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. არბიტრების შემხედვარეს კი უმეტეს მათგანზე ცუდი შთაბეჭდილება შემექმნა.

ფიფას ახალი წესის გადამკიდე ბევრი მსაჯი თავის გამოჩენას ცდილობს, ხანდახან კი ზედმეტ მონდომებას ცუდი შედეგები მოსდევს.

მსაჯები ფეხბურთელებს აძევებენ, მსაჯებს კი ფიფა. ასეთი შემთხვევა მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მოხდა. საქმე იქითკენ მიდის, რომ ბევრი არბიტრი ტურნირს ნაადრევად დატოვებს.



მსაჯთა კიდევ ერთი მსხვერპლი — კორეელი ჰა სეკ ჯუ

სარბიელის არქივიდან

**მსოფლიოს ჩემპიონატზე ფაუსტინ ასპრილიას მიერ ჩადენილი „გმირობების" შესახებ მთელმა ქვეყანამ შეიტყო. ჩვენც შევეცადეთ, „სარბიელის" ერთგული მკითხველი მოვლენების ეპიცენტრში გვყოლოდა და მუდმივად გაწვდიდით ცხელ-ცხელ ინფორმაციებს. იქნებ ბევრს მობეზრდა კიდეც ასპრილიას ირგვლივ ატეხილი აურზაურის ყოველდღიურად მოსმენა, მაგრამ მაინც ვითვალისწინებთ ამ მოთამაშის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების ინტერესს და ვაგრძელებთ წერას ამ ცნობილი მექსიკური ტელესერიალებივით გაწელილი ამბის შესახებ.**

# ბოდიშმაც ვერ უშველა

სარბიელის არქივიდან



ასპრილია შეწყალებას ტყუილად ელოდა

არა, პირდაპირ საკვირველი ხალხია ეს კოლუმბიელები. ერთ დღეს შეუძლიათ კაცი სასიკვდილოდ გაიმეტონ, მიწასთან გაასწორონ და ამქვეყნად გაჩენის წუთი აწყევლინონ, ხოლო მეორე დღეს, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, კვლავაც გულში ჩაიკრან. ყიამყრალ და გადარეულ ფაუსტინო ასპრილიასაც ალბათ ამის იმედი ჰქონდა. წინა „სარბიელში" ვწერდით, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ერნან გომესის მიერ მოკვეთილი თავდამსხმელი პარიზის აეროპორტისკენ გაემართა, საიდანაც მაიამი — ბოგოტას რეისით სამშობლოში აპირებდა გამგზავრებას. მაგრამ, ეტყობა, ფაუსტინომ სინდისის ქენჯნა იგრძნო, და ასე უსიტყვოდ, ბოდიშის მოუხდელად ვერ მიატოვა თანაგუნდელები. ამიტომ თვითმფრინავში ჩაჯდომის ნაცვლად პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში დაბრუნდა, საიდანაც კოლუმბიელთა საწვრთნელ ბაზაზე ბოდიშებით სავსე წერილი აფრინა. პარმელმა ფორვარდმა არც ეს იკმარა და საინფორმაციო საშუალებების საშუალებით საჯაროდ მოინანია თავისი რამდენიმე დღის წინანდელი საქციელი, როდესაც ცხელ გულზე რუმინელებთან მატჩის დროს მინდვრიდან გასულმა ნაკრების თავკაცის ტაქტიკა სასტიკად გააკრიტიკა და უკმეხი სიტყვების თქმა არც თანაგუნდელების მიმართ დაივიწყებია.

ასეთი საქციელი ასპრილიასთვის უცხო სულაც არ არის. მან დაახლოებით ასეთივე სურათი გაათამაშა 1993 წელს. მაშინ ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ერთ-ერთი შეხვედრის დროს კოლუმბიელთა ყოფილმა თავკაცმა პაჩო მატურანამ ფაუსტინო ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა. ეს უკანასკნელი კი მშვენიერ ფორმაში იყო და თვლიდა, რომ იმ დროისთვის კოლუმბიაში მასზე ძლიერი მოთამაშე საერთოდ არ მოიძებნებოდა. ამიტომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა შეურაცხყოფად მიიღო და განრისხებულმა ნაკრები მიატოვა — გუნდს სამუდამოდ ვტოვებ და უკან აღარ მელოდოთო — ესღა მიახალა სახტად დარჩენილ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს. თუმცა მეორე დღესვე აზრი იცვალა. საწვრთნელ ბაზაზე დაბრუნდა და ყველა იქ მყოფს მოკრძალებული ბოდიში მოუხადა. ამათაც გული მოულბათ, მთლად გასაწირად ვერ გაიმეტეს ჩხუბისთავი და არცთუ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ფაუსტინო კვლავ ძირითად შემადგენლობაში დააბრუნეს. ასპრილია რომ გადარეული და ამავე დროს გამოუსწორებელი ჭორიკანაა და თავის გამოხდომებს ვერასოდეს მოიშლის, ეს მთელმა მსოფლიომ იცის და კოლუმბიელი ფეხბურთელები რა მამა აბრამის ბატკნები გამოდგნენ, უღირსი საქციელი რომ აპატიესო, იკითხავს მკითხველი და სწორიც იქნება. დიახ, იცოდნენ. ვის, ვის და თავად ფეხბურთელებს კარგად მოეხსენებათ, ვისთან ერთად ეწეოდნენ ჭაპანს, მაგრამ ასპრილია ოთხი წლის წინ ალბათ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო და მასზე უარის თქმა რიგითი, დიდი საფეხბურთო ტრადიციების არმქონე სამხრეთამერიკული ქვეყნისთვის დიდად სასარგებლო ნამდვილად ვერ იქნებოდა. ჰოდა, შერჩა პარმელს მისი თავხედობა და ამან საკუთარი თავის შეუცვლელობის რწმენა გაუღრმავა. ეტყობა, ფიქრობდა, მე ხომ მეფე ვარ, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ და თუ სადმე რაიმე შემეშლება, არც ესაა ტრაგედია — ერთი ბოდიშის მოხდით ყველაფერს მოვაგვარებო. გადიოდა წლები და კოლუმბიელი თავისი ხასიათის შეცვლას არ აპირებდა. არადა, სწორედ ამის გამო შეექმნა პარმას ხელმძღვანელებთან უთანხმოება და იძულებული გახდა, ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედში" გაეგრძელებინა კარიერა. იქ ერთი-ორი მართლაც მშვენიერი თამაში ჩაატარა, ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ერთ-ერთ მატჩში ესპანეთის „ბარსელონას" ორი ერთმანეთზე ულამაზესი გოლიც გაუტანა, მაგრამ ბუნებით ისევ ძველებური დარჩა და მინდორზე გაკეთებულ სიკეთეს ერთიანად გადაუსვა ხაზი. კონსერვატორი ინგლისელები მოგეხსენებათ, მეტად დახვეწილი ტაქტიკითა და ადამიანებისადმი რბილი დამოკიდებულებით გამოირჩევიან. ისინი სულაც არ გვანან ასპრილიას ქვეყნის წარმომადგენლებს და ამიტომაც რა გასაკვირი იყო, რომ ჭორიკანას გამოხდომები ვერ აიტანეს. ფაუსტინომაც დაადო თავი და კვლავ თავის ძველ კლუბს — პარმას დაუბრუნდა, სადაც ფორმაში ჩადგა, ჩვეული ოსტატობით ათამაშდა და ერნან გომესის ყურადღებაც მიიპყრო. მწვრთნელმაც, ეტყობა, იფიქრა იქნება ახლა მაინც მოიქცეს სანიმუშოდ, გუნდს დაეხმაროსო და საფრანგეთში წამსვლელ ოცდაორ საუკეთესოს შორის ასპრილიას გვარიც ჩაწერა. მაგრამ...მსოფლიოს ჩემპიონატზე რაც მოხდა, ამაზე უკვე ყველა ლაპარაკობს. მის საქციელს სპეციალისტებმა თუ რიგითმა გულშემატკივრებმა უმსგავსო უწოდეს და კოლუმბიელთა თავკაციც გაამართლეს. თუმცა ამის შემდეგ არავის ეგონა, ფაუსტინო ბოდიშს თუ მოიხდიდა და გუნდში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა. არადა, ასე კი მოხდა. ასპრილიამ გაძევებიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ თავისი საქციელი საქვეყნოდ რომ მოინანია, ისიც დაამატა, თუ გომესისა და გუნდის სხვა ხელმძღვანელების ნება იქნება, უკან დიდი სიამოვნებით დავბრუნდებიო. მის მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადება კი ასეთი შინაარსის იყო: — თუ კოლუმბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, რომ ჩემი გუნდში დაბრუნება მნიშვნელოვანია და მე მათ ვჭირდები, მაშინ დიდი სიამოვნებით დავბრუნდები უკან. ყველა მაინდა დავარწმუნო, რომ ასეთ შემთხვევაში მართლაც სანიმუშოდ მოვიქცევი და ყველა იმ წესს წედმიწევნით დავიცავ, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასული თითოეული ფეხბურთელი ექვემდებარება. გომესმა გუნდიდან უღირსი საქციელისთვის დამითხოვა. უფრო სწორად, ყველივეს მიზეზი ჩემი მწარე გამონათქვამი იყო, რომელზედაც ახლა ძალიან ვნანობ, რადგან, მერწმუნეთ, არავის სურს ისე მხურვალედ კოლუმბიის ეროვნულ ნაკრებში თამაში, როგორც ასპრილიას. ვხვდები, რომ ყველას გული ვატკინე და ამიტომ მსურს, ულრმესი პატივისცემით ბოდიში მოვუხადო ქვეყნის პრეზიდენტს, კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი საბჭოს გენერალურ მდივანს, მთავარ მწვრთნელს, ყველა ჩემს თანაგუნდელს და საერთოდ მთელს კოლუმბიელ ხალხს. უღირს საქციელს ფინანსებს და ყველასგან პატიებას ვითხოვ...

ასპრილიას მამა, დიეგო, შვილის დარად მეტად შეწუხებული ჩანდა:

— ფაუსტინო მართლაც უსამართლოდ მოიქცა. მწვრთნელისა და თანაგუნდელებისთვის ასეთი რამ არ უნდა ეკადრებინა, მაგრამ ეს ხომ ცხოვრებაა. ჩვენ მოკვდავ ადამიანებს შეცდომებიც მოგვდის ხოლმე და ამისთვის მეტად მკაცრი განაჩენი გამოტანა ყოველთვის გამართლებულად არ მიმაჩნია. მე ფაუსტინოს დიდი იმედი მაქვს და ვფიქრობ, გუნდში დააბრუნებენ, თუმცა სადღეისოდ არავინ არაფერს გვეუბნება და ჩვენც იმედად ლოდინიღა გვრჩება.

სანამ მამა-შვილი ასპრილიები თავიანთ მოსაზრებებს ტელეკომენტატორებს უზიარებდნენ, კოლუმბიელმა ჟურნალისტებმა პირდაპირ ალყაში მოაქციეს საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქალაქ ლა-ტურ-დუ-პინის საწვრთნელი ბაზა და კითხვების სეტყვა დაატეხეს ერნან გომესს, რომელმაც განაცხადა, რომ თავხედ ფეხბურთელზე უზომოდ ნაწყენია და მას არაფრის დიდებით უკან არ დააბრუნებს. შეგახსენებთ, მწვრთნელის დაყოლიება ორი დღის წინ თვით კოლუმბიის პრეზიდენტმა ერნესტო სამპერმა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. გომესს პრინციპულობის შენარჩუნებაში ისიც დაეხმარა, რომ კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სლევარო ფინა სწორედ მის მხარეს იჭერდა და ასპრილიას გუნდში დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

გუშინ გვიან ღამით ამ გადახლართულ ისტორიას ბოლო მოეღო. ყოველ შემთხვევაში, ალბათ, დროებით მიცხრება მაინც. იმედგაცრუებულმა ასპრილიამ პარასკევს გუნდიდან საბოლოოდ წასვლის თაობაზე ამცნო ჟურნალისტებს.

— დავიღალე ამდენი გაუგებრობით, შექმნილი სიტუაცია გუნდის ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე უარყოფითად მოქმედებს. მათ კი სულ მალე თამაში აქვთ გასამართი. ამიტომ მიჯობს, სამშობლოში გავემგზავრო. კოლუმბიაში ჩასვლისას იქაურ ტელევიზიასთან ვითანამშრომლებ და ჩვენი გუნდის თამაშების ტელერეპორტაჟებს გავუძღვები. ჩვენი ნაკრები პირველი დამარცხების შემდეგ მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი, მაგრამ მტკიცედ მწამს, რომ ბიჭები ამ ურთულესი სიტუაციის გამოსწორებას შეძლებენ — თქვა ასპრილიამ, რომელიც კოლუმბიური ტელევიზიის სპორტულ კომენტატორობას კი აპირებს, მაგრამ საეჭვოა, ენაჭარტალას ეკრანიდან თანაგუნდელების ლანძღვა-ძაგების ნება დართონ.

ასპრილია გუნდიდან კი გააძევეს, მაგრამ ამ ამბავმა კოლუმბიელთათვის მთლად უმტკივნეულოდ ვერ ჩაიარა. ნერვებმოშლილმა გომესმა განაცხადა, რომ ამდენი აურზაური ყელში ამოუვიდა და მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ნაკრებს გამოემშვიდობება.

— საფრანგეთში ჩამოსვლამდე მშვენიერ გუნება-განწყობაზე ვიყავი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელობა ნამდვილი ჯოჯოხეთი ყოფილა. ამიტომ ამ ტურნირს როგორმე ჩავამთავრებ და აგვისტოდან სხვა სამუშაოს ვიშოვნი — აშკარაა, რომ გულახდილ ფაუსტინოზე ნაკლები დღე არც გომესს ადგას.

ამ ამბის შემდეგ ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რას განიცდიან კოლუმბიის ნაკრების ერთგული ქომაგები. მათი საყვარელი გუნდი ხომ არც აქამდე წყვეტდა ვარსკვლავებს და ახლა მორალურად დაცემულმა და შუაზე გახლეჩილმა რაღა უნდა შეძლოს...

**ირაკლი ხმელიძე**

# რას ერჩიან დი ბიაჯოს?

კამერუნის ნაკრების ფეხბურთელები კორექტული თამაშით არასოდეს გამოირჩეოდნენ. მათ ჩვეულ მანერაზე, 1990 წელს იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრიუმფის დროსაც არ უთქვამთ უარი და რა გასაკვირია, წლეულს საფრანგეთში ჩასული სრულიად ახალგაზრდა კამერუნის ნაკრები მეტად უხეშად რომ ატარებდეს თამაშებს. გახსოვთ, ალბათ, იტალიის ნაკრებთან შეხვედრისას აფრიკელთა მცველმა რაიმონდ კალამ ორივე გაშლილი ფეხით ისე უმოწყალოდ მოცელა მათ კარში პირველი გოლის გამტანი დი ბიაჯო, რომ საბრალო იტალიელი მოედნიდან საკაცით გაიტანეს. ეს მატჩის 43-ე წუთზე მოხდა და ყველას ეგონა, რომ დაშავებული ფეხბურთელი თამაშის გაგრძელებას ვერ შეძლებდა. ის კი არა, „სკუადრა ძურას" გულშემატკივრები გულდაწყვეტით აღნიშნავდნენ, დი ბიაჯო, ალაბთ, მსოფლიოს ჩემპიონატის დასასრულამდე გამოგვაკლდა და ეგებ ახალ სეზონში სერია ა-ს მატჩებისთვის მაინც მომჯობინდესო. თუმცა ორიოდ წუთში დი ბიაჯო ფეხზე წამოდგა და მსაჯს მინდორზე დაბრუნების უფლება სთხოვა. ამის შემხედვარე მონპელიეს სტადიონის გადატენილი ტრიბუნები ერთი პირობა დაიბნენ, ხოლო შემდეგ ფეხბურთელს სტვენა აუტეხეს და სიმულაციაში დასდეს ბრალი.

აფრიკული გუნდის ხემლძღვანელობამ მატჩის შემდეგ დიდი უკმაყოფილება გამოთქვა მსაჯობით. „მოუთვინიერებელი ლომების" მთავარი მწვრთნელი კლოდ ლერუა აღშფოთებას ვერ მალავდა და განაცხადა, რომ შეხვედრის არბიტრს უფრო ობიექტურად უნდა შეეფასებინა კალასა და დი ბიაჯოს შეტაკება, რადგან იტალიელს სერიოზული ტრავმა სულაც არ მიუღია.

—ჩემმა ფეხბურთელმა, მართალია, უხეშად ითამაშა, მაგრამ გაძევებას არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებდა, რადგან ეს პირწმინდად სათამაშო მომენტი იყო და კალას მეტოქე განზრახ არ წაუქცევია — ასეთი იყო საკამათო ეპიზოდის ლერუასეული შეფასება. თავად თავგადაპარსული დი ბიაჯო კი მეტად აღელვა მეტოქე გუნდის წარმომადგენელთა ამგვარმა საქციელმა და მათ უსამართლოები უწოდა.

— ერთადერთი, რაც შემიძლია გულახდილად ვთქვა, ის არის, რომ ტრავმა არ გამომიგონებია. კალა მართლაც უხეშად მეთამაშა და იგი უეჭველად მინდვრიდან გაძევებას იმსახურებდა. მე კი სათამაშოდ იმიტომ დავბრუნდი, რომ გუნდის დაღალატება არ მსურდა. სამწუხაროა, ჩემი ვაჟკაცური საქციელი საპირისპიროდ რომ აღიქვეს. იმ ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ გაზეთებზე, რომლებიც სიმულაციას მწამებენ, სამდურავი არ მეთქმის. ისინი მაინც უცხოელები არიან. აი, იტალიურ პრესაზე კი ნამდვილად მწყდება გული, რადგან მათაც ზურგი მაქციეს და კამერუნელებს დაუჭირეს მხარი — თქვა „რომას" ნახევარმცველმა, რომელიც იმ საღამოს სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივრების რეაქციითაც მეტად უკმაყოფილო დარჩენილა.

— დარწმუნებული ვარ, კამერუნელი მცველი განზრახ არ დამჯახებია. ეს თამაშის შემადგენელი ნაწილია და ფეხბურთელებიც ასეთ მომენტებს გაგებით ვეკიდებით. მე უფრო გულშემატკივრებისა და მეტოქე გუნდის წარმომადგენლების საქციელმა მატკინა გული, რადგან მათ სიტუაცია უაღრესად არასპორტულად შეაფასეს.

ისე, უნდა ითქვას, რომ კალა მართლაც საშინლად უხეშად მოიქცა. ამაზე დაშავებული იტალიელის ჩალურჯებული ბარძაყიც მეტყველებს. უბრალოდ, ყოველგვარი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად. დი ბიაჯოს, ალბათ, ერჩივნა მოედანზე პირველ ტაიმში შესვლასგან თავი შეეკავებინა და მხოლოდ მეორე ნახევარში განეახლებინა თამაში. ამით იგი გულშემატკივრების რისხვასაც აიცილებდა და არც მეტოქე გუნდს ექნებოდა უკმაყოფილების საბაბი.

დი ბიაჯოს თქმით, მსაჯს იტალია — კამერუნის შეხვედრაში კალას გარდა პიერ ნჯანკა და პიერ ვომეც უნდა გაეძევებინა. ნჯანკა პირველ ტაიმში რობერტო ბიაჯოს ეთამაშა მეტად უხეშად, ხოლო ვომემ ფრანსისკო მორიერო არ დაინდო და კინაღამ კარიერაც დაასრულებინა.

— მართალია, ორივე კამერუნელს მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისინი მოედნიდან გაძევებას იმსახურებდნენ. ჩემს ტრავმაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ყველაფერი გუნდის ექიმის გადასაწყვეტია. თუმცა, იმედია, ჯგუფური ტურნირის მესამე მატჩს ავსტრიელთა წინააღმდეგ სრულ მზადყოფნაში შევხვდები — ყველაფრის მიუხედავად, დი ბიაჯო მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და სწრაფად გამოჯანმრთელების იმედი აქვს.

**ირაკლი ხმელიძე**

სარბიელის არქივიდან



კამერუნელმა კალამ დი ბიაჯოს სამკურნალოდ გაუხადა საქმე

# უხეშობა ძვირად ფასობს

საბრალო ნიგერიელი და ესპანელი არბიტრების შინ გაბრუნებით უეფას მესვეურებმა ყველას მაგალითი უჩვენეს და აგრძნობინეს, რომ თუ საჭირო გახდება, არავის დაინდობენ. თუმცა, როგორც გუშინ გამართულმა შეხვედრებმა აჩვენა, დიდმოხელეთ უჯობდათ, ჩუმად ყოფილიყვნენ.

ბლატერისა და მისი თანაშემწეების მკაცრი მოქმედებით დამფრთხალი არბიტრები — დანია — სამხრეთ აფრიკისა და საფრანეთი — საუდეთის შეხედრებს მეტად ორიგინალურად სჯიდნენ. საბრალოებს იმის შიშით, სანქცია ჩემზე არ განახორციელონო, მთელი თამაშის განმავლობაში ჯიბეზე ედოთ ხელი. მსაჯების ასეთი გულმოდგინეობა საბოლოოდ ხუთშაბათს მოასპარეზე ოთხივე გუნდს ძვირად დაუჯდა. თუმცა ამათგან ყველაზე მეტად მაინც საფრანგეთის ნაკრებმა იზარალა, რადგან გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და ძირითადი იმედი, გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი განზრახ უხეშად თამაშისთვის გააძევეს და ახლა მას ორი მატჩით იძულებითი დასვენება მოუწევს. იგი მესამე მოთამაშე შეიქნა, ვინც ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ესოდენ მკაცრად დასაჯეს. გახსოვთ, ალბათ, მანამდე ორი თამაშით დისკვალიფიკაცია ჰოლანდიელმა პატრიკ კლუივერტმა და კამერუნელმა რაიმონდ კალამ გამოჰკრეს ხელი. ამათ გარდა საფრანგეთში უხეშობით კიდევ ორმა ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი. შოტლანდიის ნაკრების თავდამსხმელი დარენ ჯეკსონი და მაროკოელი ნახევარმცველი საიდ ჩიბა ორ-ორი ყვითელი ბარათის გამო ერთ შეხვედრას გამოტოვებენ.



გიო აზვლედიანის

სამი სვეტი

# არ მინდა წითელი

განთქმული ბალერონი ვახტანგ ჭაბუკიანი რომ ცოცხალი იყოს, ქართველებს სხვა გზა არ გვექნებოდა — უნდა მივსულიყავთ მხცოვან მაესტროსთან და მისთვის საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელობა გვეთხოვა.

რას ვიზამთ?

ფეხბურთი ასეთი გზით მიდის — მალე ჩვენი სტადიონის ნაცვლად ქალაქელ ფანობას ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპეროსა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოგვიწევს სიარული, რადგან საფეხბურთო მატჩები სწორედ იქ გაიმართება. ვთქვათ — საქართველო — ნორვეგია, „გედის ტბის" ჰანგზე, ან — საქართველო — საბერძნეთი „ჟიზელის" ჰანგზე.

სხვა გამოსავალი ფეხბურთს აღარ აქვს.

ჯერ ერით, მე ყოველთვის მეგონა, რომ ბლატერის ნაცვლად იუჰანსონი უნდა აერჩიათ. მეორეც — აველანჟი კვლავ ტრიბუნაზე ზის, რაც ბრეჟნევულობის ყველაზე უვარგისი ტრადიციაა. მესამეც — პლატინი ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ამ თამაშის გულთან საკმაოდ ზედაპირული დამოკიდებულება ჰქონია.

ეგრეც ვერ გავიგე — რა უნდა ამ ხალხს ფეხბურთისგან? განა ფეხბურთს რა სჭირს ისეთი, რომ ბალეტს დაემსგავსოს?

ადრე, უხეში მცველები ამბობდნენ (და თან ამაყადაც) ფეხბურთი ბალეტი ნუ გგონიათო. ახლა ამის თქმა ჩვეულებრივ ფეხბურთელებს უწევთ. ფიფა კი, მართლაც ძალიან ბევრს ზრუნავს ფეხბურთის განვითარებაზე. აი, უკნიდან უხეშობის გამო წითელი ბარათიც შემოიღეს და მსაჯებიც დაამუნათეს, ბარათის ჯიბეში შემნახველ კაცს ჩვენ პატივს ვერ მივაგებთო.

საერთოდ, რაც კი რამეა უცნაური ფეხბურთში, პიპინია ბიძია, ეს არის მსაჯი. ვერავინ მოსთვლის მსაჯთა მიერ ჩაოხრებულ თამაშებს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ჩემპიონატიდან. თანაც, სწორედ მსოფლიო ჩემპიონატებზე რომ მოუნდებათ ხოლმე თავის გამოჩენა, რაც მაგათ თამაშები აურევიათ — ჰა, თუ 1954 წელს, ჰა, თუ 1966 წელს, ჰა, თუ მერე და მერე. ამის ჩამოთვლას და ჩამოწერას ერთი ცალკე წიგნი დასჭირდება.

თანაც, ეს ფიფაც რომ მსოფლიო ჩემპიონატებს დაამთხვევს ხოლმე თავის სიახლეებს, ვითომდა, მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც მთელ ოთხ წელიწადს ელოდება არაერთი მილიარდი ადამიანი, ექსპერიმენტის ადგილი იყოს. დაიწყო ეს ჩემპიონატი, მგონი ნორმალურად. იყო თამაშები, იყო სარმები და მოცელვაც და მსაჯებიც სავსებით ნორმალურად ექცეოდნენ უხეშებს. ისე, როგორც ბოლო ხუთ-ექვს წელიწადს.

და ატყდნენ ბლატერი და პლატინი, ჩვენ რა ვთქვითო, ჩვენ რა წესი შემოვიღეთ უხეშობისთვის და მოცელვისთვისო, წითელიო, პირდაპირ წითელიო. ვინც ამას არ გააკეთებს, ვინც ჩვენებურად არ ალკვეთს, ორი ბისტი იმასო. და ატყდა და დაიწყო. ეგებ მე სრული იდიოტიც ვიყო, მაგრამ ფეხბურთში მთავარი რამ სულაც არ არის წითელი ბარათი. წითელი ბარათი ფეხბურთის ერთი პატარა კუთხეა და არა მთავარი. და საერთოდ, ფეხბურთი ამ ბარათამდეც არსებობდა მთელს ას წელიწადს. ახლა კი რა არის მთავარი ფეხბურთში? ისე და ისევ, წითელი ბარათი. გუშინწინდლიდან ასეა და რა ვიცი.

ფეხბურთელი იმაზე უფრო ფიქრობს, წითელი არ მიიღოს. ის თამაშზე არ ფიქრობს. უფრო სწორად, ფეხბურთელი იმგვარად დაკომპლექსდება სანამ ამ ახალ წესს შეეჩვევა, რომ თავისი მაინც ემართება და ეს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია?

აქ არის იმის დრო, რომ ბატონმა ფიფას მოხელეებმა თავიანთი საკმაოდ შეზღუდული იდეები რეალობად აქციონ?

თუმცა, მოვეშვათ ზოგად ლაპარაკს და გადავიდეთ კონკრეტულ ლანძღვაზე.

ჯონ ტოროს რენდონი 40 წლის კოლუმბიელი ინჟინერია. ისე გამოვიდა, რომ ეს კაცი მსოფლიო ჩემპიონატზე გამოიძახეს მსაჯად. მისი მსაჯობის დღე ბლატერის აფეთქებას დაემთხვა. იმავ აფეთქებას დაემთხვა დანია — სამხრეთ აფრიკის მატჩი, რომელსაც რენდონი უძღვებოდა. ასე რომ, კოლუმბიელი ინჟინერი პირველი მსაჯი გამოდგა, აქამდე მიღებული, მაგრამ მსაჯთა მიერ ლიბერალიზებული მოცელვის წესის ამოქმედებამ რომ მოუწია.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რენდონი ქაჯურად მსაჯობდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ჩემთვის გასაგებია — რენდონს სურდა რომ უფროსობისთვის თავისი კვალიფიკაცია ეჩვენებინა, მაგრამ ტულუზის მინდორზე ფეხბურთი აღარ იყო და ამდენი ხალხი რენდონის დაბალი შუბლის საცქერლად ხომ არ ვისხედით ტელევიზორთან? შვიდი ყვითელი და სამი წითელი. ეკრანზე კარგად ჩანდა ფეხბურთელთა გაოცებული სახეები. ეს თამაში თავისი პრინციპებით ჰოკეის ან ამერიკულ ბურთაობას უფრო ჰგავდა. თამაში აღარ იყო, მწვრთნელთა ნაფიქრი განახევრებულიყო, საცქერი არაფერი იყო.



ზეპ ბლატერი — მსაჯთა დიდი მბრძანებელი ფეხბურთის იერსახეს ცვლის

ფიფა და რენდონი პირდაპირ ამბობდნენ — ან დუბლები გამოიყვანეთ, ან ბალეტი იცეკვეთო. ბალეტს ერთი პლუსი აქვს, ის ხელოვნებაა. ფეხბურთი კი თამაშია. ჩვენამდე ისე მოვიდა, რომ არც სარმა კლდა და არც უნამუსობა. მაგრამ მისი ერთ-ერთი საყრდენი ყოველთვის თავდაუზოგავი ბრძოლა იყო. თუ ვინმე მოუშვებდა სადავეებს და ფეხბურთელებს თავზე და ნამუსზე ხელის აღების საშუალებას მისცემდა, ისევ მსაჯები.

კლასიკურად ქცეული ტელეკადრია: პელე პორტუგალიის ნაკრების საჯარიმოსთან დგას ზურგით და ბურთი უკან გამოაქვს. მას პორტუგალიელთა მცველი ჟოაო მორაეში წამოეწევა და მოცელავს. პელე კვლავ დგება და კვლავ ბურთისკენ გაიწევს. მორეაში კვლავ კოჭში სცემს პელეს და ეს უკანასკნელი მოედნიდან გაჰყავთ.

ეს იყო 1966 წელს. მაშინ ფეხბურთელის შეცვლა მსოფლიოს ჩემპიონატზე არ შეიძლებოდა. იყო ასეთი ველური კანონიც. იმ თამაშს ინგლისური ბრიგადა უძღვებოდა მაკკეიბის თამადობით. პორტუგალიელთა კაპიტანი მარიუ ესტევეს კოლუნა ნირწამხდარი იყო და მორაეშსა და მეორე ვირგლას ვისენტე ლუკაშს ეუბნებოდა საყვედურის სიტყვას.

ძნელი საპოვნია კაცი, საფეხბურთო მოედანზე წრეგადასული უხეშობა რომ მოიწონოს. იყო დრო, როცა ბევრ გუნდს ტაქტიკად სწორედ უხეშობა ჰქონდა. მერე ზომები გამკაცრდა და „წვრილი ჯარიმის ტაქტიკა" დაინერგა. ეს საქმე დღესაც ცოცხლობს და ხშირად ძალიან მომაბეზრებელიც კია.

თუ ფიფას ამ საქმესთან ბრძოლა გადაუწყვეტია, უფრო სხვა რამ უნდა მოიფიქროს, რადგან ოხრად დარჩეს ისეთი ფეხბურთი, სადაც მსაჯის მეტი არაფერი იქნება სანახავი. მსაჯს ისედაც ყველაფრის უფლება აქვს. მისი მიქარვებისთვის პასუხი მხოლოდ მოსულთაგან მოეთხოვება, წამხდარი თამაში კი წამხდარ თამაშადვე რჩება.

მსაჯებმა კი აიწყვიტეს.

უფრო სწორად, მათ უბრძანეს, რომ აეწყვიტათ და მსაჯი რომელი ანრი ბერგსონია, რომ ადამიანში იმგვარი სიფაქიზით ერკვეოდეს, საქმე არ წაახდინოს?

და საფრანგეთ — არაბეთის თამაში? არა, ეს მექსიკელი მსაჯი ბევრად სიმპატიური იყო, ვიდრე ის კოლუმბიელი, მაგრამ ახალი წესების ამბავი მან სულ არია. ზიდანი კი გააგდო, მაგრამ რა წესი შემოიღეს ეგეთი, ზიდანის გაგდება რომ შეუძლია და ლიზარაზუსი არა? ლიზარაზუმ, მოგეხსენებათ, უდიდესი დანაშაული ჩაიდინა — ერთი-ერთზე მიმქროლავი ალ-ჯაბერი დასდო ძირს, რაშიც, როგორც დიდი გუნდის წარმომადგენელმა მხოლოდ ყვითელი დაიმსახურა. ეს მაშინ, როცა, ალხალაივმა სადღაც ფლანგზე ჩაჩეხა იგივ ლიზარაზუ, მისთვის წითელი არავის დანანებია. ზიდანს კი აბა, ვისი დაცვა სჭირდება? თუმცა, ფეხი მართლაც დააბიჯა არაბს, მაგრამ ამისთვის ორი თამაშის გაცდენა ნამეტანია. და საერთოდ, ეს კანონი ძალიან ჰგავს იმას, სტალინმა რომ თქვა ხალხის მტრებს უნდა ვებრძოლოთო და მეზობლებმა ერთმანეთს ჩივილი დაუწყეს, შუქი გვიანობამდე უნთია და მგონი ტროცკის წერს წერილსო. იმ გვიანობამდე მოფხიზლეს კი დაიჭერდნენ და მერე არკვიე, მიწერა, თუ არა ტროცკის.

და საერთოდაც, ახლა რა ხდება და თუ ასე გაგრძელდა, მერვედფინალებიდან რაღა იქნება? ადვილი მისახვედრია, გუნდები ან ცახცახით ითამაშებენ, ან თავიანთი დუბლიორების ამარა დარჩებიან, ნახევარფინალში კი სამშობლოდან მოუწევთ ხალხის გამოძახება. წესების ამგვარად ამოქმედებას ოცდაორი კაცი ნაღდად არ ეყოფა.

თანაც, მსაჯი მაინც მსაჯია. როგორც უნდა ისე ჭრის და კერავს. ვიღაცას გააგდებს, ვიღაცას კიდევ დაინდობს. მით უმეტეს, ასეთი რამ უკვე მოხდა.

დიდ გუნდთა უმრავლესობა სასწრაფოდ უნდა გადავიდეს შეგუების მეთოდზე, არადა, ძირითადი შემადგენლობის ამბავში პრობლემები ექნებათ. რამდენს გაუძლებს ინსი? ან არგენტინელები და იტალიელები? ანდა ნიგერიელები? ფეხბურთის შეცვლა ძალიან უცბად მოხდა. ვუყურეთ იტალია — კამერუნს და დავიძინეთ, გავიღვიძეთ და სხვა ფეხბურთი დაგვიხვდა.

ბალეტს კიდევ ერთი პლუსი აქვს — თეატრალური დადგმაა. ან რაღა ფეხბურთი ეგ არის, თუ ხალხს მხოლოდ დასწრებაზე თამაშის უფლება მიეცა?

არა, არა. მე ყოველთვის იუჰანსონი მერჩივნა.

თუმცა, რა განსხვავებაა?

ფეხბურთს მონდომებით უცვლიან სახეს და რატომ არავინ იცის.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ნიუკასლ იუნაიტედის" რიგები შესაძლოა გოლკიპერმა შაკა ჰისლოპმა დატოვოს. კლუბის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, მეკარე კონტრაქტის დასრულებას ელის, რის შემდეგაც თავისუფალი აგენტი გახდება და ალბათ ლონდონურ „ვესტ ჰემში" გადავა. „ნიუკასლს" კიდევ ერთი დანაკლისი აქვს — თავდამსხმელი პოლ კიტსონი მომავალ სეზონში ორი თვის მანძილზე ვერ ითამაშებს. მას საზარდულის ტრავმა აწუხებს.

**ესპანელმა სპეციალისტმა ფერნანდო ვასკესმა, რომელიც გასულ სეზონში „კომპოსტელას" წვრთნიდა, „ოვიედოსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ პოსტზე იგი წარსულში „მილანის" თავკაც, ურუგვაელ ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესს შეცვლის. „ოვიედო" მერვე ესპანური კლუბია, რომელმაც სეზონის დამთავრების შემდეგ მწვრთნელი გამოიცვალა. 43 წლის ვასკესი „კომპოსტელას" 1995 წლიდან ედგა სათავეში.**

**საუდეთის** ფეხბურთის ფედერაციამ მოთამაშეების საზღვარგარეთის კლუბებში გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა კლავ გადადო. დისკუსიები არაბ ფეხბურთელთა უცხოეთში გაშვების თაობაზე უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს და მოსალოდნელია, რომ ფედერაცია თავის პოლიტიკას შეცვლის. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საუდის არაბეთის ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და ჯგუფიდან გააღწია, გუნდში მოთამაშე ფეხბურთელებმა ფედერაციის თხოვნით ევროპული კლუბებიდან მიღებული წინადადებები უარყვეს, რაც ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის გაკეთდა. ახლა კი ნაკრების მოთამაშეებმა და ბრაზილიელმა სპეციალისტმა კარლოს ალბერტო პარეირამ ამ დებულების შეცვლა მოითხოვეს. ფედერაციის სხდომა უახლოეს მომავალში გაიმართება.

**ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" თავდამსხმელი ხუან ანტონიო პიცი თავისი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლებოდა. მისნაირი ტექნიკითა და გოლის ალღოთი ბევრი ვერ დაიკვეხნის. მაგრამ კატალონიურ კლუბში მისი კარიერა რატომღაც ისე ვერ აეწყო, პიცის დონის თავდამსხმელი რომ იმსახურებს. მთავარმა მწვრთნელმა თავიდანვე აითვალწუნა და ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ყოფნა. თან ისიც სათქმელია, რომ 30 წლის პიცის ახალგაზრდული ჟანიც აღარ მოსდევს, ესპანეთის წლევანდელი ჩემპიონისა და თასის მფლობელის შემტევებს სათანადო კონკურენცია რომ გაუწიოს. ბრაზილიელები რივალდო და სონი ანდერსონი გასულ სეზონში ბრწყინვალედ ირჯებოდნენ და ამის გამო პიცი ძირითადად შეხვედრების მიწურულს შეცვლაზე თუ შედიოდა. 1997-98 წლების სეზონში მან მხოლოდ ლიგის თხუთმეტი მატჩი ჩაატარა და აქედან თერთმეტში მოედანზე შეცვლაზე შევიდა. ასეთი ვითარება პიცისთვის ძნელი ასატანი იყო და იგი კატალონიური კლუბიდან წასვლის სურვილს არ მალავდა. და აი, გუშინ ფეხბურთელის ტანჯვას ბოლო მოეღო. მისით ლა კორუნიის „დეპორტივოს" ხელმძღვანელები დაინტერესდნენ და სარფიანი კონტრაქტიც შესთავაზეს. როგორც ამ ქალაქის ერთი საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, 30 წლის ფორვარდის კონტრაქტი სამწლიანია და ვადა 2001 წლის ზაფხულში გაუდის. თუმცა თავად პიცი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას მაინც არ ჩქარობს. არადა, ლაკორუნიელები მზად არიან ფეხბურთელში 800 მილიონი პესეტა (5,2 მილიონი დოლარი) გადაიხადონ.**

## იცით თუ არა, რომ...

...მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპის ისტორიაში ერთ შეხვედრაში სამ მოთამაშეზე მეტს წითელი ბარათი არ დაუმსახურებია. გუშინწინ ეს რეკორდი დანია — სამხრეთ აფრიკის 1:1 დამთავრებულ მატჩში განმეორდა. თანაც საგულისხმოა, რომ სამივე გაძევებული ფეხბურთელი, დანიელები — მიკლოშ მოლინარი და მორტენ ვიგჰორსტი და სამხრეთაფრიკელი ალფრედ პირი — შეცვლაზე შევიდნენ.

* * *

...ხუთშაბათს საფრანგეთი — საუდეთის 4:0 დამთავრებულ შეხვედრაში ორი ფეხბურთელი — ფრანგი ზინედინ ზიდან და საუდელი მოჰამედ ალ ხილაივი გააძევეს, რითაც იმ დღეს მოედნიდან გაგდებული მოთამაშეთა რაოდენობა ხუთამდე ავიდა. საინტერესო იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპონატის დაწყებიდან ხუთშაბათამდე ჩატარებულ ოც თამაშში მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა მიიღო წითელი ბარათი.

* * *

...საფრანგეთის ნაკრები პირველი გუნდი გახდა, რომელმაც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ თამაშში ოთხი გოლის გატანა შეძლო. მასპინძელთა გუნდს კიდევ ორი რეკორდი ეკუთვნის. მეორე ტურის შემდეგ მათ ყველაზე მეტი — შვიდი გოლი აქვთ გატანილი. ამავე დროს ეს არის ერთადერთი ნაკრები, რომელსაც საკუთარ კარში ბურთი არ მიუღია.

* * *

...ფრანგებთან დამარცხების შემდეგ საუდეთი შეიქნა პირველი გუნდი, რომელიც ორი მატჩის შედეგით მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში თამაშის უფლება დაკარგა. აზიელები ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ შეხვედრაში სამხრეთაფრიკელებთან გამარჯვების შემდეგაც კი ვერ დააგროვებენ მეორე ეტაპზე გასვლისათვის აუცილებელ ქულათა რაოდენობას. ასევე საგულისხმოა, რომ საუდელებს ამ ჩემპიონატზე ჯერ გოლი არ გაუტანიათ.

* * *

...საფრანგეთის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე საწყისი ორი შეხვედრა არასდროს მოუგია. წელს კი ამ ნაკრებმა ტრადიცია დაარღვია და ორივე მეტოქე — სამხრეთი აფრიკა (3:0) და საუდეთი (4:0) დიდი ანგარიშით დაამარცხა. ოთხბურთიანი სხვაობით მოგებას რაც შეეხება, ფრანგებს ამგვარი ანგარიშით 1958 წლის შემდეგ არ უმარჯვიათ. მაშინ ჟიუსტ ფონტენის წინამძღოლობით საფრანგეთმა ნორვეგია გაანადგურა 4:0.

* * *

...დანიის ნაკრებმა შეინარჩუნა მისთვის სასიამოვნო ტრადიცია და მოედანი უგოლოდ არც სამხრეთაფრიკელებთან შეხვედრაში დატოვა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩატარებული 6 მატჩიდან არც ერთი არ ყოფილა ისეთი, დანიელ ფეხბურთელებს გოლი არ გაეტანოთ. სულ კი მათ ანგარიშზე 12 ბურთია.

* * *

...მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირებს — იტალიელ კრისტიან ვიერისა და ჩილელ მარსელო სალასს ხუთშაბათს საფრანგეთი — საუდეთის მატჩის შემდეგ შევიწროება მოუხდათ. ისინი ახლა ახალბედა ფრანგ ტიერი ანრისთან ერთად იყოფენ პირველობას სამ-სამი გატანილი გოლით.

# გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა...

## მარგვეთი

საბოლოო ადგილი მეთექვსმეტე

სტადიონი: ცენტრალური — 5000
1996 წლის ვიცე-ჩემპიონი
1991 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში. ჩაატარა 247 მატჩი. მოგება — 98. ფრე — 41, წაგება — 106. ბურთების შეფარდება: 397:443.
1990 წელს თამაშობდა ეროვნული ჩემპიონატის B ჯგუფში. ჩაატარა 38 მატჩი. მოგება — 28. ფრე — 3, წაგება — 7. ბურთების შეფარდება: 102:44.
რეკორდული მოგება — 7:0. 03.09.93 — მრეტები, 22.05.95 — გურია და 21.09.95 — დურუჯი
რეკორდული წაგება — 1:10. 15.09.94 — დინამო
ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში — ენდელაძე 62
ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში — გაბრიჭიძე 192

## 30 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 24 | 4 | 2 | 86:15 | 71 |
| ბათუმი | 30 | 18 | 7 | 5 | 58:19 | 61 |
| კოლხეთი | 30 | 17 | 6 | 7 | 56:27 | 57 |
| ტორპედო | 30 | 15 | 9 | 6 | 51:30 | 54 |
| ოდიში | 30 | 15 | 4 | 11 | 43:51 | 49 |
| ლოკომოტივი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:37 | 44 |
| მერანი | 30 | 13 | 7 | 10 | 39:33 | 39 |
| თსუ | 30 | 11 | 6 | 13 | 35:33 | 39 |
| დილა | 30 | 11 | 4 | 15 | 31:36 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 9 | 9 | 12 | 27:37 | 36 |
| რუსთავი | 30 | 10 | 4 | 16 | 32:41 | 34 |
| სამგურალი | 30 | 9 | 7 | 14 | 31:50 | 34 |
| სიონი | 30 | 10 | 6 | 14 | 49:47 | 31 |
| გურია | 30 | 6 | 9 | 15 | 30:58 | 27 |
| მალაროელი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:59 | 26 |
| მარგვეთი | 30 | 2 | 7 | 21 | 21:75 | 13 |

„მერანს" დაკლებული აქვს 7 ქულა, „დინამოს" და „სიონს" — 5-5

## «მარგვეთის» შედეგები მეცხრე ჩემპიონატში

| | შ | ს |
|---|---|---|
| მორკინალი | 2:4 | 0:0 |
| სამგურალი | 1:2 | 2:2 |
| დინამო | 2:5 | 0:6 |
| დილა | 0:0 | 0:1 |
| რუსთავი | 1:0 | 0:3 |
| მერანი | 0:4 | 0:1 |
| ტორპედო | 1:3 | 1:1 |
| ოდიში | 0:2 | 2:2 |
| ბათუმი | 1:4 | 2:5 |
| კოლხეთი | 1:2 | 0:3 |
| თსუ | 1:0 | 0:5 |
| სიონი | 0:0 | 1:7 |
| მალაროელი | 1:2 | 1:2 |
| ლოკომოტივი | 0:1 | 0:3 |
| გურია | 1:1 | 0:4 |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| კაციაშვილი | 29 | 5 | 3 | 0 |
| მალალურაძე | 26 | 0 | 1 | 0 |
| სულაკაძე | 25 | 2 | 0 | 0 |
| ქვანია | 25 | 0 | 1 | 0 |
| კაკაბაძე | 22 | 0 | 0 | 1 |
| მაღრაძე | 21 | 3 | 0 | 0 |
| ნიქაბერიძე | 21 | -36 | 0 | 0 |
| შავგულიძე | 20 | 3 | 0 | 0 |
| გოგაძე | 17 | 0 | 1 | 0 |
| მ. ღონღაძე | 15 | 0 | 2 | 0 |
| ქურციკიძე | 15 | 0 | 2 | 0 |
| ფოცხვერაშვილი | 13 | 2 | 0 | 0 |
| შ. ბინაძე | 12 | 0 | 0 | 0 |
| მერკვილიშვილი | 12 | -34 | 0 | 0 |
| ხეტეშვილი | 12 | 0 | 0 | 0 |
| მოსიკაშვილი | 11 | 0 | 0 | 0 |
| მ. მუმლაძე | 11 | 0 | 1 | 0 |
| ტოკლიკიშვილი | 11 | 1 | 0 | 0 |
| თ. გაბრიჩიძე | 10 | 1 | 2 | 0 |
| ზაქარეიშვილი | 10 | 0 | 1 | 0 |
| ფოფხაძე | 10 | 2 | 1 | 0 |
| მორალიშვილი | 9 | 0 | 3 | 0 |
| გურიელიძე | 8 | 0 | 0 | 0 |
| ბოგველაძე | 7 | 0 | 0 | 0 |
| თხელიძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| მელუა | 5 | 0 | 1 | 0 |
| ხელაძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| ლანჩავა | 4 | 0 | 1 | 0 |
| მხეიძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| დარჩიაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |
| სახელაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

„1918 წლის 26 მაისს რომ მთელი საქართველოს, ჩვენი სამშობლოს იმდროინდელი ყოფის ყველა სფეროს შეეხო და მთელს ერს მარჯვისმიერი ძალა შთაჰბერა, დღეს ალბათ არავისთვისაა გაუცნობიერებელი.

ამ უდიდესმა მოვლენამ საქართველოს შუაგულს: მარგვეთსა და ზესტაფონსაც მოანიჭა ღმრთიული მადლი და განცდა განსაკუთრებული ღირსებითა და ალტყინებით ექმნათ ყოველი, მანამ თითქოს ჩვეულებრივი საქმე. და როდის, თუ არა მარგველთათვის განსაკუთრებულ რელიგიურ —წმ. დავით და კონსტანტინეს ხსენების დღეს უნდა გამოევლინათ ცარიზმის მიერ შებოჭილი ეროვნულ-პოლიტიური გზნების ძალა.

სწორედ ამ დღეებთანაა დაკავშირებული ჩვენამდე ცოცხლივ მოღწეული, გადმოცემა ზესტაფონში საფეხბურთო მატჩისა, რომელსაც იხსენებენ, როგორც საეკლესიო რიტუალთა შემდეგ გამართულს. როგორც ჩანს, ეს თამაში თავისუფლების პირობებში ამ წმინდანთა მოხსენიებას მიეძღვნა, საუკუნეზე მეტი რომ რუსეთის ხელში საძარცვავად ჩაგდებულ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მშობლიურ ენაზედ გაბედულად ვერც მოეხსენებინა.

ამ ორთაბრძოლისა თუ შეხვედრების პერიპეტიები ალბათ არც ისე საწინდარია დღეს. უეჭველია, ბურთაობა მანამდეც იქნებოდა ძველ ზესტაფონში, გარნა თანამედროვე ს.კ. „მარგვეთის" შემქნელთათვის ამოსავლად სწორედ ეს იქმნა" („ს.კ. მარგვეთი". წინასიტყვაობა. თ. კიკნაველიძე).

დიახ, ბურთს საუკუნის დასაწყისში ზესტაფონშიც აგორებდნენ ჯერ ისე, ჟამიდან ჟამს მხოლოდ ერთურთს ეპაექრებოდნენ, შემდეგ ისტორიის ქარბორბალას მიერ ჩვენში შემოტანილი საბჭოეთის ხანაში საფეხბურთო გუნდიც შექმნეს. მერე კი ქარის მოტანილი ისევ ქარმა რომ წაიღო, პროფესიული საფეხბურთო კლუბი „მარგვეთიც" დაარსდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ზესტაფონელებმა ფეხბურთი შეისისხლხორცეს, სათაყვანებელ თამაშად ექცათ და მოთმინებით, წლიდან წლამდე ელოდნენ, ილტვოდნენ, იბრძოდნენ და აჰა, როგორც იქნა, ახდა, ასრულდა — „მარგვეთი" ქვეყნის ვიცე-ჩემპიონია, ფანჯარა ევროპაში გაჭრილია, გუნდმა მისთვის მანამდე მიუწვდომელ მწვერვალს მიაღწია და... როგორც ამბობენ, აღმართს დაღმართი მოსდევს...

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, „მარგვეთზე" საუბრისას მეხსიერებაში ძალუმად ამოტივტივდება უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩი „ერთ" მალტურ გუნდთან, მატჩი რომელმაც სათავე დაუდო მარგველთა დაღმა სვლას. ძნელია, და ახლა არ შევუდგები იმ მარცხის მიზეზთა ძიება-გახსენებას, მაგრამ ფაქტია, მან მძიმე ფინანსური კრიზისი, უდიდესი მორალური ზიანი და თავსლაფდასხმული გულშემატკივრების რისხვა გამოიწვია (ბევრი მას შემდეგ სტადიონზეც აღარ დადის). გუნდი სულ უფრო დაბლა ფსკერზე ეშვებოდა, მშველელი კი არსაიდან ჩანდა.

წლევანდელი სეზონის წინ „მარგვეთი" ფაქტობრივად დაშლილი იყო, არც პრეზიდენტი, აღარც მწვრთნელი, ფეხბურთელებიც სხვადასხვა გუნდებში დაქსაქსულიყვნენ. ამ ურთულეს სიტუაციაში რაიონის გამგებელმა, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა და გულშემატკივართა კლუბმა თხოვნის წერილით მიმართა სააქციო საზოგადოება „ფეროს" მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობას, დახმარება გაეწიათ გუნდისთვის. ისინიც, ცივ უარზე მართალია არ დამდგარან, მაგრამ თქვეს, ჩვენც გვიჭირს, ცოტა გვადროვეთ, ფეხზე დავდგებით და შემდეგ გუნდს მთლად ვუპატრონებთო. მოკლედ, საშველი რომ არსაიდან ჩანდა, გუნდის შეკრება, ფეხბურთელთა მოძიება და მთავარი მწვრთნელის დანიშვნაც გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა გია ღიბრაძემ ითავა. მოიძია, დანიშნა, ჩემპიონატიც დაიწყო, მაგრამ, ვაი, ამ დაწყებას. მხოლოდ უეფას ძლევენის იმედად (რომლის 80 პროცენტი ვალებმა შთანთქა) დარჩენილ „მარგვეთს" ძალიან გაუჭირდა. პრობლემა პრობლემას ლმაო. დიახ, შიმშილმა დაამარცხა „მარგვეთი", ანკი როგორ გინდა გინდ „დინამოს", გინდ სხვა გუნდს მოუგო, როცა ფეხშიშველა ვარჯიშობ, სათამაშოდ კი ნათხოვარი ბუცებით გამოდიხარ. არანაკლები პრობლემა ზესტაფონელთა გუნდისთვის (და არა მარტო მათთვის) სავარჯიშო მოედნის, და ბაზის უქონლობაა. მაგას ვინ ჩივის და სათამაშო მინდორიც (ანუ სტადიონი) ფეროშენადნობთა ქარხნის საკუთრებაა. იქ თამაშზე გაყიდული ბილეთის საფასურიდან გუნდის ხაზინაში ერთი თეთრიც არ შედის. მოკლედ, კლუბი უსაფუძვლოდ აშენებულ სახლს წააგავდა, რომელიც კაცმა არ იცის, ხუხულასავით როდის ჩამოგემხობა თავზე (აკი ჩამოემხოთ კიდეც).

ალბათ გუნდის ასეთი ყოფა ვერ აიტანა თუ, რა მიზეზით, ვერ გეტყვით, მაგრამ გია ღიბრაძემ ზედ შუა წრეში მიატოვა გუნდი და წავიდა. რა იყო ეს? პროტესტის ნიშანი თუ სასოწარკვეთილების გამოხატულება. იქნებ ბრძოლის ველიდან გაქცევა, ანაც ბრძოლის ამაოების შეგრძნება. ვგონებ, ეს უკანასკნელი ყველაზე ახლოა ჭეშმარიტებასთან. ღიბრაძემ ყველას და ყველაფრის იმედი რომ დაკარგა, თავად სცადა გუნდის გადასარჩენად რაიმე თანხები მოეძებნა. ზესტაფონის ერთ-ერთი ბანკის მმართველი პრეზიდენტობაზეც კი დაითანხმა, მაგრამ მის პრეზიდენტად არჩევას წინ აღუდგა რაიონის ხელმძღვანელობა. ერთ-ერთი თანამდებობის პირი ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის. „როდესაც ღიბრაძემ მაგ ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურა წამოაყენა, იმ ხანად რაიონის გამგებელი ს.ს. „ფეროს" მმართველ კომპანიასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას და ვინაიდან საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა, უფრო უპრიანი იქნებოდა, გუნდი მათთვის ჩაგვებარებინა, რადგანაც მას საბოლოოდ გამოუჩნდებოდა სოლიდური, ფეხზე მყარად მდგომი პატრონი. ღიბრაძის შემოთავაზებული კანდიდატურა ვიუარეთ". რაც გამოვიდა ამ საქმიდან ყველას მოგეხსენებათ. მოხდა ისე, რომ ღიბრაძის გუნდიდან წასვლას, პრეზიდენტ ვასო ხაჭაპურიძის დაბრუნება დაემთხვა, (არა, არ გეგონოთ, ეს მოვლენათა ლოგიკური გაგრძელება იყო, არამედ შემთხვევითობა). პრეზიდენტმაც იპრეზიდენტა და „მარგვეთმა" პირველ წრეში აღებულ ექვს ქულას მეორეში ერთით მეტი მიუმატა და ასე უსახელოდ ფაქტობრივად უბრძოლველად გამოეთიშა უძლიერესთა მარაქას (ესეც დასტური ბრძოლის ამაოებისა).



„მარგვეთი" — „დინამო". ნიქაბერიძემ (№1) ბევრიც გაუშვა და ბევრიც მოიგერია

ემატებოდა და მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებულმა გუნდმაც სტარტი წარუმატებლად აიღო. მართალია, მათ თამაშს ჟინი და აზარტი არ აკლდა, მაგრამ ბოლო მომენტში მოუმზადებლობა და შესაბამისად ფიზიკური კონდიციების უკმარისობა ძალუმად იჩენდა თავს. თუმცა ყველასგან წინასწარ განწირულმა ახალგაზრდა მარგველებმა (რატომ? რას ერჩოდნენ?) პირველსავე წრეში რამდენიმე სიურპრიზი შემოგვთავაზეს, მათ შორის ქუთაისში მრისხანე „ტორპედოსთან" ნათამაშევი ფრე, წყალტუბოსთან ორბურთიანი დეფიციტის შევსებით მიღწეული ყაიმი და საკუთარ კედლებში თბილისის „დინამოსთან" როგორც ტოლ-სწორთან ნათამაშევი პირველი ნახევარიც ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნახევარში (ისევე როგორც ყველა მატჩში) მარგვეთი პირწმინდად დამარცხდა.

მატჩის შემდეგ ერთ-ერთ მარგველს რომ ვკითხე, რა მოხდა, მეორე ნახევარში ეგრე რამ დაგაძაბუნათ-მეთქი, მიპასუხა, — მაინცადამაინც მაგ დროს გვიწია შიმშილმაო.

გუნდში შექმნილ ვითარებას უკეთესობისკენ პირი არც ახლა უჩანს. ისტორია მეორდება. გუნდი, ისევე როგორც ერთი წლის წინ, დაშლილია. ფეხბურთელებს თვალი ისევ სხვაგან გაქცევაზე უჭირავთ, უფროსი მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძეც უარზეა, ასეთ პირობებში იმუშაოს: „კმარა ერთი წელი უხელფასოდ ვიშრომე, თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, აქ მუშაობას აზრი არა აქვს, ასე ჩვენ ამ ჯგუფსაც დავტოვებთ. მე კი არ მსურს „მარგვეთის" კატასტროფული ფიასკოს მონაწილე ვიყო. ეგ კი არა, საერთოდ გუნდის არსებობის საკითხია ეჭვქვეშ. ვნახოთ, თუ ყოველივე არა, რაღაც კონტურები შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისა, 23 ივნისს დანიშნულ გუნდის შეკრებაზე გამოიკვეთება".

რა მოხდება 23 ივნისს, არავინ იცის. გუნდს კი სასწრაფოდ შველა რომ სჭირდება, უდავო ფაქტია. მართალია, ვასილ ხაჭაპურიძეს საფეხბურთო კლუბი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაუქმნია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ხსნა კვლავაც არსაიდან ჩანს. ზესტაფონის რაიონის გამგებლის მრჩევლის სპორტისა და ტურიზმის დარგში, ბატონ გოგი ვარდოსანიძის აზრით, „აუცილებელია რაიონის მსხვილმა საწარმოებმა, ფეროშენადნობთა ქარხანამ, ქარხანა საქკაბელმა და რამდენიმე ბანკმა თავიანთი ძალისხმევა გააერთიანონ, ყველამ თავ-თავისი შეწევნით გუნდი, ასე ვთქვათ, მომგებიან საწარმოდ აქციონ".

იდეა, იცოცხლეთ, კარგია (თუმცა არახალია), მაგრამ ყოველივეს მოთავე და ხორცშემსხმელი, რომ არავინაა (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით) ესეც უცილო ფაქტია.

არ მინდა, ხაზი გადავუსვა რაიონის ხელმძღვანელთა მიერ გაწეულ მცდელობას კლუბის და ს.ს. „ფეროს" დაკავშირების საქმეში. მათ მრავალჯერ მიმართეს ამ საწარმოს ხელმძღვანელებს თხოვნით დახმარებისთვის, მაგრამ, მაინც მეჩვენება, რომ ფეხბურთი და საერთოდ სპორტი, რაიონში უსამართლოდაა დაჩაგრული, უნამუსო დედის მიერ სხვის კარზე გასაზრდელად მიგდებული ჩვილის რანგში იმყოფება. ყოველივე ამას ადგილობრივი ზესტაფონის „მოამბეს" 1998 წლის 30 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ზესტაფონის რაიონის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსავალ-გასავალში ასახული ციფრები ადასტურებს. იქ კი, შავით თეთრზე წერია, რომ ამა წლის პირველ კვარტალში კულტურაზე გახარჯულია 50 ათასი ლარი ხოლო სპორტზე 0,2 ათასი ლარი (ე.ი. ორასი ლარი). ეს ფაქტი, რბილად რომ ვთქვათ, შემაძრწუნებელია. კი, ბატონო, ძალიან კარგია და მისასალმებელია, რომ კულტურას „ასეთი დიდი" ყურადღება ექცევა, მაგრამ სპორტმა რაღა დააშავა? (ისიც ხომ ფიზიკური კულტურაა).

და მაინც, რამ ჩააგდო „მარგვეთი" ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში? რამ და ჩვენს სულსა და გულში ნაგროვებმა მოჭარბებულმა ამბიციურობამ, შუღლმა, შურმა და იმ რამდენიმე დაჯგუფების ურთიერთდაპირისპირებამ, რომლებიც ზესტაფონში ფეხბურთის ირგვლივ ტრიალებენ. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ საბოლოოდ საღი აზრი გაიმარჯვებს, გონს მოვლენ, ერთად დადგებიან და მიხედავენ, უპატრონებენ. იმ ჩვილ ბავშვს (ტუტუცმა დედამ სხვის კარზე რომ დატოვა) ხომ გაზრდა სითბო და მზრუნველობა სჭირდება. სხვაგვარად არ ეგების, არ ეკადრებათ იმ კუთხის ხალხს, მარგველებს, რომლებსაც ვახუშტი ბატონიშვილი ასე მოიხსენიებს: „იწოდა ქვეყნის ნაყოფიერებისაგან და მრგვლობისა მუშაკობისათვის — მრგველნი მუნებურნი და არა ალმომფხრუელნი... კაცნი და ქალნი შუენიერნი, მბრძოლნი და იმერეთს უმეტეს სხვათაგან შემმართებლად დიდებულნი, მომჭირნე მუშაკნი, სტუმართმოყვარენი..." (ქართლის ცხოვრება IV ტ. გვ. 771)

ღმერთო, იხსენ „მარგვეთი"...

**ბესიკ ჯანგავაძე**



# დღეს ევროთასები იწყება

**ინტერტოტოს თასის გათამაშება. წინასწარი ეტაპი. პირველი მატჩები. 20-21 ივნისი**

ალთაი (თურქეთი) — შემროკ როვერსი (ირლანდია)
ეთნიკოსი (აშნა, კვიპროსი) — ორგრიტე (შვედეთი)
დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) — დებრეცენი (უნგრეთი)
ლეიფტური (ისლანდია) — ვორსკლა (უკრაინა)
ებიუ ვეილი (უელსი) — კონგსვინგერი (ნორვეგია)
ნაციონალი (რუმინეთი) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი)
აუსტრია (ვენა, ავსტრია) — რუხი (პოლონეთი)
ბალტიკა (რუსეთი) — სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი)
სტაბეკი (ნორვეგია) — ვოევოდინა (იუგოსლავია)
დრაგოვოლიაცი (ხორვატია) — ლუნგბიუ (დანია)
ტაურისი (სლოვაკეთი) — ომაგ თაუნი (ჩრდ. ირლანდია)
ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) — პრადეც კრალოვე (ჩეხეთი)
დიოშდიორი (უნგრეთი) — შლიმა (მალტა)
ტურკუ (ფინეთი) — სიონი (შვეიცარია)
ვაგური (ფარერები) — ბობი (ბრნო, ჩეხეთი)
სენტ გალენი (შვეიცარია) — ტულევიკი (ესტონეთი)
დინაბურგი (ლატვია) — დუკლა (სლოვაკეთი)
ინკარასი (ლიტვა) — ბაქი ფეხლესი (აზერბაიჯანი)
ტორპედო (საქართველო) — ერებუნი (სომხეთი)
მაკედონია (სკოპიე, მაკედონია) — ოლიმპია (სლოვენია)

დღეს ინტერტოტოს თასის გათამაშება იწყება. ამით იწყება წლევანდელი ევროთასების სეზონიც.

ამ საზაფხულო შეჯიბრს კი თასი პირობითად თუ ჰქვია. გამარჯვებულისთვის სამახსოვრო პრიზი არც არასდროს გადაუციათ, რადგან ფინალი არც არასდროს გამართულა.

აბა ისეთ ტურნირს რა აზრი აქვს, რომელსაც მოგებული არ ეყოლება?

ინტერტოტოს თასზე თავგამოჩენილებს ჯილდოდ უეფას თასის დამატებითი საგზური ერგებათ. ასეთი ადრე ორი იყო, ახლა კი უკვე სამია.

ქართული კლუბი ინტერტოტოზე მესამედ გამოვა. სადებიუტო წელი კოლხთათვის უიღბლო იყო, ფოთელებმა ჯგუფური ტურნირი უქულოდ გალიეს. შარშან კი „მერანმა" თავადაც იხეირ-იხარა და ჩვენც გვახარა, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

თუმცა მეორე ადგილი უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდა, მთლად ბოლოობასა და უქულ-უფულობას მაინც სჯობდა.

ამ მეორე ადგილმა „მერანს" 40 ათასი შვეიცარიული ფრანკი და მცირე ევროპული აღიარებაც მოუტანა.

ჯგუფში პირველობა კი ქართველებს არ დასცალდათ და, თუ უეფამ არ გადაიფიქრა, ალბათ, არც მოუწევთ. ინტერტოტოს თასის გათამაშება წლეულს უკვე სხვაგვარად, თავიდანვე ოლიმპიური სისტემით გაიმართება.

ერთწრიან ჯგუფურ ტურნირს, ცხადია, პლეი ოფები სჯობს. ჭეშმარიტი სათასო პრინციპიც ხომ მიმოსვლით გასამართი მატჩების ჯამში გამარჯვებულის გამოვლენაა.

როგორ გამოიყენებენ გუნდები ევროპული ფეხბურთის მესვეურთაგან მიცემულ შანსს, ანუ რა სისტემით შეეცდებიან უეფას თასის დამატებითი სამი საგზურის მოპოვებას, ეს ადრეც არაერთხელ დაგვიწერია. სადღეისოდ კი ინტერტოტოს თასის წინასწარი ეტაპის წყვილებთან ერთად ევროტურნირებზე ქვეყანათა წარმომადგენლობასაც გთავაზობთ.

საქართველოდან ინტერტოტოზე და საერთოდ ევროტურნირებზე პირველად ითამაშებს ქუთაისის „ტორპედო", რომელსაც პირველ ზღუდედ სომხური „ერებუნი" ერგო.

| ქვეყანა | კოეფიციენტი | | ჩემპიონთა ლიგა | | თასების თასი | | უეფას თასი | | ინტერტოტოს თასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | | 2 | იუვენტუსი, ინტერი | 1 | ლაციო | 4 | უდინეზე, რომა ფიორენტინა, პარმა | 2 | ბოლონია, სამპდორია |
| გერმანია | 49,932 | 2 | კაიზერსლაუტერნი, ბაიერნი | 1 | დუისბურგი, | 3 | ლევერკუზენი, შტუტგარტი, შალკე | 2 | ჰანზა, ვერდერი |
| ესპანეთი | | 3 | რეალი, ბარსელონა, ბილბაო, | 1 | მალიორკა | 4 | სოსიედადი, სელტა ატლეტიკო, ბეტისი | 2 | ვალენსია, ესპანიოლი |
| საფრანგეთი | 41,433 | 2 | ლანსი, მეცი | 1 | პსჟ | 4 | მონაკო, მარსელი, ბორდო, ლიონი | 2 | ოსერი, ბასტია |
| ჰოლანდია | 35,916 | 2 | აიაქსი, ეინდჰოვენი | 1 | ჰერენვენი | 3 | ვიტესი, ფეიენოორდი, ტილბურგი | 2 | სიტარდი ტვენტე |
| ინგლისი | 35,566 | 2 | არსენალი, მანჩესტერი | 2 | ჩელსი, ნიუკასლი | 4 | ლივერპული, ლიდსი ბლექბერნი, ასტონ ვილა | 1 | ვესტ ჰემი |
| პორტუგალია | 31,266 | 2 | პორტუ, ბენფიკა | 1 | ბრაგა | 3 | გიმარაეში, სპორტინგი, მარიტიმუ | 1 | ბოავიშტა |
| საბერძნეთი | 28,750 | 2 | ოლიმპიაკოსი, პანათინაიკოსი | 1 | პანიონისი | 2 | აეკ, პაოკ | 1 | იონიკოსი |
| ჩეხეთი | 28,166 | 1 | სპარტა | 1 | იაბლონეცი | 2 | სლავია, სიგმა | 2 | პრადეც კრალოვე, ბობი |
| ნორვეგია | 27,449 | 1 | რუსენბორგი | 1 | ვოლერენგენი | 2 | ბრანი, სტრომგოტსეტი, მოლდე | 2 | სტაბეკი, კონგსვინგერი |
| ავსტრია | 27,250 | 1 | შტურმი | 1 | რიდი | 2 | გრაცერი, რაპიდი | 2 | ზალცბურგი, აუსტრია |
| რუსეთი | 26,866 | 1 | სპარტაკი | 1 | ლოკომოტივი | 2 | როტორი, დინამო | 2 | შინიკი, ბალტიკა |
| ხორვატია | 26,166 | 1 | კროაცია | 1 | ვარტექსი | 2 | ჰაიდუკი, ოსიეკი | 1 | დრაგოვოლიაცი |
| თურქეთი | 25,650 | 1 | გალათასარაი | 1 | ბეშიქთაში | 3 | ფენერბახჩე, ტრაბზონსფორი, ისტანბულისფორი | 2 | სამსუნსფორი, ალთაი |
| დანია | 24,200 | 1 | ბრონდბიუ | 1 | კოპენჰაგენი | 2 | სილკებორგი, ვეილე | 2 | ლუნგბიუ, აბ |
| შვეიცარია | 22,250 | 1 | გრასჰოპერი | 1 | ლოზანა | 2 | სერვეტი, ციურიხი | 2 | სიონი, სენტ გალენი |
| უკრაინა | 22,082 | 1 | დინამო | 1 | ცსკა | 1 | შახტიორი | 1 | ვორსკლა |
| პოლონეთი | 22,000 | 1 | ლკს | 1 | ამიცა ვრონსკი | 2 | პოლონია, ვისლა | 1 | რუხი |
| უნგრეთი | 21,083 | 1 | უიპეშტი | 1 | მტკ | 1 | ფერენცვაროში | 2 | დიოშდიორი, დებრეცენი |
| ბელგია | 21,000 | 1 | ბრიუგე | 1 | გენკი | 2 | ეკერენი, ანდერლეხტი | 2 | ჰარელბეკი, ლომელი |
| სლოვაკეთი | 20,999 | 1 | კოშიცე | 1 | სპარტაკი | 1 | ინტერი | 2 | ტაურასი, დუკლა |
| რუმინეთი | 20,750 | 1 | სტიაუა | 1 | რაპიდი | 2 | არჯესი, ოცელული | 1 | ნაციონალი |
| შვედეთი | 20,600 | 1 | ჰალმსტადი | 1 | ჰელსინგბორგი | 2 | გიოტებორგი, | 2 | ერებრუ, ორგრიტე |
| საქართველო | 20,333 | 1 | დინამო | 1 | ბათუმი | 1 | კოლხეთი | 1 | ტორპედო |
| კვიპროსი | 20,332 | 1 | ანართოსისი | 1 | აპოლონი | 1 | ომონია | 1 | ეთნიკოსი |
| შოტლანდია | 19,500 | 1 | სელტიკი | 1 | ჰართსი | 2 | რეინჯერსი, კილმარნოკი | 0 | |
| ისრაელი | 16,749 | 1 | ბეითარი | 1 | მაკაბი (ჰაიფა) | 1 | ჰაპოელი (თელ ავივი) | 1 | ჰაპოელი (ჰაიფა) |
| სლოვენია | 15,998 | 1 | მარიბორი | 1 | რუდარი | 1 | მურა | 1 | ოლიმპია |
| ბელარუსი | 14,833 | 1 | დინამო | 1 | ლოკომოტივი | 1 | ბელშინა | 1 | დნეპრტრანსმაში |
| ისლანდია | 13,666 | 1 | ვესტმანაეიარი | 1 | კეფლავიკი | 1 | აკრანესი | 1 | ლეიფლური |
| ფინეთი | 13,415 | 1 | ჰიკ | 1 | ჰაკა | 2 | ვაასანი, ფინპა | 1 | ტურკუ |
| ლატვია | 11,498 | 1 | სკონტო | 1 | მეტალურგსი | 1 | დაუგავა | 1 | დინაბურგი |
| ბულგარეთი | 10,499 | 1 | ლიტექსი | 1 | ლევსკი | 1 | ცსკა | 1 | სპარტაკი |
| მაკედონია | 8,666 | 1 | სილექსი | 1 | ვარდარი | 1 | იუგომაგნატი | 1 | მაკედონია |
| ლიტვა | 7,333 | 1 | კარედა | 1 | ეკრანასი | 1 | ჟალგირისი | 1 | ინკარასი |
| იუგოსლავია | 7,083 | 1 | ობილიჩი | 1 | პარტიზანი | 1 | ცრვენა ზვეზდა | 1 | ვოევოდინა |
| მოლდოვა | 6,666 | 1 | ზიმბრუ | 1 | კონსტრუქტორული | 1 | ტილიგული | 0 | |
| ლიხტენშტეინი | 5,000 | 0 | | 1 | ვადუცი | 0 | | 0 | |
| ესტონეთი | 4,999 | 1 | ფლორა | 1 | ლანტანა | 1 | სადამი | 1 | ტულევიკი |
| სომხეთი | 4,832 | 1 | ერევანი | 1 | ცემენტი | 1 | შირაქი | 1 | ერებუნი |
| ჩრდ. ირლანდია | 4,665 | 1 | კლიფტონვილი | 1 | გლენტორანი | 1 | ლინფილდი | 1 | ომაგ თაუნი |
| მალტა | 4,664 | 1 | ლა ვალეტა | 1 | პიბერნიანსი | 1 | ბირკირკარა | 1 | შლიმა |
| უელსი | 3,999 | 1 | ბერი თაუნი | 1 | ბანგორ სიტი | 1 | ნიუ თაუნი | 1 | ებიუ ვეილი |
| ირლანდია | 3,998 | 1 | სენტ პატრიკი | 1 | კორკ სიტი | 1 | შელბურნი | 1 | შემროკ როვერსი |
| ფარერები | 2,833 | 1 | ბ36 ტორსჰაგენი | 1 | გი გოტუ | 1 | ჰაფნარ ბოლტფელაგი | 1 | ვაგური |
| ლუქსემბურგი | 2,333 | 1 | ჟენესი | 1 | გრევენმახერი | 1 | უნიონი | 1 | ჰობშაიდი |
| აზერბაიჯანი | 1,833 | 1 | ქიაფაზი | 1 | ყარაბაღი | 1 | დინამო | 1 | ბაქი ფეხლესი |
| ანდორა | 0,000 | 1 | პრინჩიპატი | 1 | სანტა ჟულია | 1 | სანტა კოლომა | 0 | |
| ბოსნია | 0,000 | 1 | ჟელეზნიჩარი | 1 | სარაევო | 0 | | 0 | |

## კალათბურთი

# მშვენიერნი და დამშეულნი

ივლისის 11-დან მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებიც ჩაებმება. ჯგუფში მათ საფრანგეთის, ესპანეთისა და ბრაზილიის გუნდებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა, მომდევნო ეტაპზე კი ორი საუკეთესო გავა. როგორ ემზადება ნაკრები სამოსკოვოდ? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად გუნდის უფროს მწვრთნელ ვაჟა მხეიძეს მივაკითხეთ.



ვაჟა მხეიძე

— მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში, ფაქტობრივად, შეკრება არ გაგვივლია. ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი კვირა ვივარჯიშეთ სერიოზულად, ისიც მთლიანად ფედერაციის პრეზიდენტის გოგი ქათამაძის და მისი მეგობრების ძალისხმევით. გუნდი ისე მიემგზავრება მოსკოვს, ერთი საკონტროლო თამაშიც კი არ ჩაუტარებია. ხვალიდან, ალბათ, საერთოდ შევწყვეტთ ვარჯიშს. ბიჭებს ელემენტარულ პირობებს ვერ ვუქმნით, ვარჯიშზე მშივრები დადიან. ფინანსებიც საბოლოოდ ამოვწურეთ, მოკლედ, მდგომარეობა საგანგაშოა.

**— დამხმარისა და ფულით ხელის გამმართავის გამოჩენის იმედი, ეტყობა, მთლად გადაგწურვიათ...**

— რამდენიმე მეწარმის იმედი გვქონდა, მაგრამ ვერც ამით ვიხეირეთ. ჩვენში დღეს კალათბურთი არავის აინტერესებს. ფედერაციას რაც შეეძლო, გაგვიკეთა, სამდურავი ნამდვილად არ გვეთქმის. ოლიმპიური კომიტეტიც შეგვპირდა დახმარებას, სათამაშო ფორმის საკითხი, ფაქტობრივად, მოგვარებულია, გუნდის ტრანსპორტირებაც მათ იკისრეს. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „სარბიელის" მეშვეობით მადლობა ვუთხრა „დინამოს" საწვრთნელი ბაზის მუშაკებს და პირადად ლევან მოსეშვილს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ გუნდმა ასე თუ ისე შეძლო ევარჯიშა. მათ უსასყიდლოდ დაგვითმეს დარბაზი და ბურთებიც გვისაჩუქრეს.

მიწვევები გვქონდა რამდენიმე ქვეყნიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირებზე გვეპატიჟებოდნენ. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობაც გავუშვით ხელიდან. საეჭვოა, ასეთი მომზადებით რაიმე წარმატებას მივაღწიოთ.

**— წამსვლელთა ვინაობას როდის დაასახელებთ?**

— გუნდი საბოლოოდ თვის ბოლოს დაკომპლექტდება. შევარჩევთ 12 საუკეთესოს და მოსკოვში წავიყვანთ. სავარაუდოდ, იქ 10 ივლისისთვის ჩავფრინდებით.

**— თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ გულშემატკივარი დიდ შედეგებს არ უნდა ელოდეს.**

— გუნდში დიდი ენთუზიაზმით მივედი. მშვენიერი თაობაა, ვფიქრობ, საუკეთესოც კი. მაგრამ არ არის მთავარი — ფული. უამისოდ კი დიდ შედეგებზე ფიქრიც არ შეიძლება. თვალი გადაავლეთ ნებისმიერი ევროპული ქვეყნის გუნდებს, ნახეთ, როგორ ემზადებიან ისინი. მიუხედავად ამისა, მე მჯერა ჩემი ბიჭების. მათ დიდი პოტენცია გააჩნიათ და უეჭველია, თავსაც არ დაზოგავენ, რათა კალათბურთის ქართველ გულშემატკივარს სიხარული მოუტანონ. თუ შევძელით და ფინალში გავედით, ეს დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

## ჭიდაობა

# ტანჯული გუნდის ტანჯული გზანი

25-28 ივნისს მაკედონიის ქალაქი რადოვიჩი ახალგაზრდა თავისუფლად მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. იქ საქართველოდან ოთარ თუშიშვილი (56), მნაცაკან არუთინიანი (60), თენგიზ ბაკურაძე (70), რამაზ გეგეშიძე (83), მიხეილ ტურაშვილი (90) და ალექსანდრე მოდებაძე (115) იასპარეზებენ.

ჩვენს არასრულ გუნდში (ათის ნაცვლად ექვსი მოჭიდავე) ყველაზე გამოცდილნი თუშიშვილი (ევროპის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს პირველობის სამგზის პრიზიორი) და ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი მოდებაძე არიან. მოდებაძე ახლახანდამთავრებულ უფროსთა ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე იყო. თანატოლებში მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონია გეგეშიძე. რადოვიჩშიც მედლების უპირველეს კანდიდატებად სწორედ მათ მიიჩნევენ, თუმცა არის კიდევ ერთი ძალზე პერსპექტიული მოჭიდავეც — არუთინიანი, რომელიც საქართველოს ბოლო პირველობაზე გამოჩნდა და ყველასთვის უცნობმა და მეტოქეებზე ბევრად უმცროსმა ჩემპიონობაც ერთი ამოსუნთქვით მოიპოვა. ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე მან საკონტროლო შეხვედრები გაცილებით მძიმე წონისებსაც იოლად მოუგო. ამიტომ მწვრთნელებს მისიც დიდი იმედი აქვთ და თუ არუთინიანმა დებიუტანტისთვის ჩვეული ფსიქოლოგიური ბარიერი დასძლია, უმედლოდ არ უნდა დაბრუნდეს.

ზემოთ ვთქვით, ჩვენები ჩემპიონატზე არასრული შემადგენლობით მიემგზავრებიან, 10 წონიდან მონაწილე მხოლოდ ექვსში გვეყოლებაო, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ ექვსი მონაწლის შერჩევა საკმაოდ სახათაბალო საქმე გამოდგა. სარწმუნო წყაროთა ცნობით, ნაკრების დაკომპლექტებისას დიდად იაქტიურეს სპორტისგან შორს მდგომი ორგანიზაცია-სტრუქტურების წარმომადგენლებმა, რასაც საკმაო ვნებათაღელვა მოჰყვა. ეს მრავალტანჯული გუნდი, რომელსაც ნუგზარ სხიერელი წვრთნის, მაკედონიაში არანაკლებ მრავალტანჯული გზით ჩავა ამ ახალ ქვეყანასა და გარე სამყაროს შორის არსებული შეზღუდული საკომუნიკაციო საშუალებების მიზეზით — ჯერ მოსკოვი, მერე სოფია, იქიდან კი ავტობუსით რადოვიჩში.

**ირაკლი თავაძე**

## ჰოკეი

# ლიგაში წითლების დიქტატურაა

**ეს სეზონიც გასრულდა. ზედიზედ მეორედ, 1991-92 წლების ბრწყინვალე პიტსბურგის დარად, სტენლის თასი „დეტროიტ რედ უინგსმა" მოიგო. აქამდეც ერთ-ერთ გრანდად მიჩნეული გუნდი ახლა სრულიად გაბატონდა ლიგაში. რამ განაპირობა „წითელფრთიანთა" ესოდენ დიდი უპირატესობა?**

### ბოუმენის სისტემა: მოედანზე ყველა ლიდერია

უპირველესი მიზეზი, ალბათ, დეტროიტელთა მწვრთნელის სკოტი ბოუმენის არაჩვეულებრივი სისტემაა, რომელიც ჰოკეისტთა შორის სათამაშო ტვირთის თანაბრად განაწილებას ეფუძნება. საქმეც ისაა, რომ ეს პრინციპი ყოველ მოთამაშეს თავის გამოჩენის ერთნაირ შანსს აძლევს. ამიტომაცაა — ყინულზე ყველა ლიდერად გრძნობს თავს. გარდა ამისა, ბოუმენი გამუდმებით ცვლის სამეულთა შემადგენლობას, რისი შედეგიცაა გუნდის უჩვეულო ურთიერთშეთანხმება. თვით ფინალურ სერიაშიც კი მეტოქეს თავბრუს ახვევდა დეტროიტელთა განუწყვეტელი გადაადგილებები და ტაქტიკური ცვლილებანი, ამიტომაც „წითელფრთიანთა" ლიდერების განეიტრალების წინასწარ დაგეგმილი ყოველი ცდა ამაო გახლდათ.

ერთი სიტყვით, დეტროიტი ჩინებული მაგალითია იმისა, რომ თანამედროვე ჰოკეიში ზეობს არა ვარსკვლავთა გუნდი, არამედ გუნდი-ვარსკვლავი, რომელშიც ესა თუ ის ჰოკეისტი ნამდვილი უნივერსალია და თანაბარი წარმატებით ირჯება თავდასხმაშიც და დაცვაშიც.

### მთავარია ალღო!

მავანთა თქმით, დეტროიტი ისეა დაკომპლექტებული, რომ მისი მეოთხე სამეულის ჰოკეისტებიც კი სანატრელია ნჰლ-ის ნებისმიერი კლუბისთვის. ეს მართლაც ასეა, მაგრამ თავიდან, როცა ბოუმენი გუნდს ქმნიდა, ყველა ამგვარად როდი ფიქრობდა. პრესას იგი არაერთხელ გაუკრიტიკებია ამა თუ იმ შენაძენის გამო.

გავიხსენოთ 1995-96 წლების სეზონის დასაწყისი და ბოუმენის ერთი შეხედვით უჩვეულო საქციელი — ჩინებულ სნაიპერ, შეპარდის იგორ ლარიონოვში გაცვლა. მაშინ დეტროიტელთა თავკაცის გადაწყვეტილებამ ყველა დააეჭვა — რად უნდა 35 წლის ჩამოწერილი ჰოკეისტი, რომლისთვისაც სან ხოსეშიც კი არ მოიძებნა ადგილიო. მაგრამ ახლა ხომ ცხადია, რომ „წითელფრთიანთა" თამაში სწორედ ამ მობერებულმა რუსმა დახვეწა და კომბინაციურადაც მან აქცია. ლარიონოვი, რომელიც ამჟამად გუნდის წამყვან პლეიმეიკერად ითვლება, ერთადერთი მაგალითი არ არის. თავიანთი გუნდების მიერ დაწუნებული ვიაჩესლავ ფეტისოვის (ნიუ ჯერსი), ლარი მერფის (ტორონტო), ჯემი მაკოუნის და სხვების ძალისხმევა ბოუმენმა დეტროიტის ალმასვლას მოახმარა.

ასე რომ, ეს მოთამაშეები თავიანთ ავტორიტეტს და აღიარებას სკოტი ბოუმენის საოცარ ინტუიციას უნდა უმადლოდნენ. ცდება ის, ვინც თვლის, რომ დეტროიტს დაკომპლექტებაში ბადალი არა ჰყავს.

### ჭირვეულმა მოარჯულა

დეტროიტის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი ისაა, რომ გუნდმა თავისი შემადგენლობა ძირითადად შეინარჩუნა. აიზერმანი, ფიოდოროვი, ლიდსტრიომი, კოზლოვი, დრეიპერი და სხვანი ადრეც გამოირჩეოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოცდილება შეიძინეს და ერთმანეთთან საერთო ენა გამონახეს, მათი ოსტატობა უფრო გამოჩნდა. დეტროიტი ისეთ ჭირვეულ კაცსაც კი ჰგუობს, როგორიც სერგეი ფიოდოროვია. სამაგიეროდ, მწვრთნელითა და თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო ჰოკეისტი წლეულს 59-მატჩიანი უპრეცედენტო გაფიცვით დაემუქრა „წითელფრთიანთა" მესვეურებს და მათაც ფინანსურ ინტერესებს კლუბის წარმატება ამჯობინეს. ამით დეტროიტმა ტაქტიკურ სქემასთან ერთად სტაბილურობაც შეინარჩუნა და ფიოდოროვიც, წინა სეზონების დარად, ერთ-ერთი საუკეთესო იყო პლეი ოფში.

„წითელფრთიანებს" ძველმა შეცდომებმაც ასწავლა ჭკუა. 1995-96 წლების სეზონში რეგულარულ ჩემპიონატში საუცხოოდ მოთამაშე დეტროიტელებს პლეი ოფში ძალა არ ეყოთ. მას შემდეგ გუნდი თავს ზოგავდა და თასის ფინალს სრულ მზადყოფნაში ხვდებოდა.

### მდევრები ახლოს არიან

ყოველივე ამის შემდეგ სკეპტიკოსებს მაინც გაუჩნდებათ კითხვა: ნიშნავს კი დეტროიტის ზედიზედ მეორედ გამარჯვება იმას, რომ გუნდს მომავალშიც ვერავინ გაუწევს კონკურენციას? მათი ეჭვი არცთუ უსაფუძვლოა, თუ გავითვალისწინებთ იმ პრობლემებს, რომლებიც „წითელფრთიანებმა" სასწრაფოდ უნდა მოაგვარონ. ერთი რამ კლუბს ნამდვილად ელის — საკადრო ცვლილებები. განსაკუთრებით დაცვას სჭირდება განახლება (ოთხი წამყვანი მცველი 35-საა გადაცილებული) და მეკარეც საძიებელია, რადგან ოდენ ოსგუდზე იმედის დამყარება სრულიად გაუმართლებელია.

ბუნებრივია, არც მდევრები იქნებიან გულხელდაკრეფილი, მით უმეტეს, რომ ზოგი კლუბი აღმავლობის გზაზეა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში გამოსარჩევია ვაშინგტონი, რომელმაც ნიჭიერი სპეციალისტის რონ უილსონის თავკაცობით თავის ისტორიაში უდიდეს შედეგს მიაღწია, ხოლო გუნდის მეკარე ოლაფ კოლციგი პლეი ოფის ნამდვილ სენსაციად იქცა. ასევე გამოსაყოფია პეტ ბერნსის ბოსტონი, რომლის ახალგაზრდა ლიდერებიც არანაირ ავტორიტეტებს არ უფრთხიან. დალასსაც დიდი მომავალი უნდა ვუწინასწარმეტყველოთ — იგი ხომ დეტროიტს ბაძავს და გუნდ-ვარსკვლავს ქმნის. ცხადია, არ ამოუწურავთ თავიანთი პოტენციალი კოლორადოს, ფილადელფიასა და ნიუ ჯერსის, რომლებიც საპლეიოფო უიღბლობის მიუხედავად 90-იანი წლების მეორე ნახევრის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბები არიან.

### ევროპის აღმოჩენა

გასულ სეზონში ბევრი რამ მოხდა მნიშვნელოვანი, მაგრამ იგი ლიგის ისტორიაში, უპირველესად, ნჰლ-ური ოლიმპიადით შევა. ნაგანოს ოლიმპიადაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი მთავარი შედეგი ევროპელთა ლიგაში კიდევ უფრო მყარად დამკვიდრება და აღიარებაა. მოხდა არნახული რამ — ნჰლ-ის ორ ყველაზე პრესტიჟულ პრიზზე, უძვირფასესი მოთამაშისა და საუკეთესო ახალბედის ნომინაციებზე არც ერთი (!) ჩრდილოამერიკელი არ წარადგინეს. ევროპელმა ახალბედებმა მთლიანად დაჩრდილეს ოკეანისგაღმელი კოლეგები. ბოლო წლების დრაფტებზე პირველ ნომრად არჩეული ჩრდილოამერიკელები ალარსად ჩანან, ევროპა კი ყოველწლიურად ახალ-ახალ აღმოჩენებს გვთავაზობს. ამ მხრივ არც წლევანდელი სეზონი იყო გამონაკლისი — სერგეი სამსონოვი, რიხარდ ზედნიკი, მათიას ოლუნდი და სხვანი მომავალშიც იტყვიან თავიანთ სიტყვას. სხვათა შორის, თასის მფლობელთა შემადგენლობაშიც 8 ევროპელი თამაშობს, რაც ბებერი კონტინენტის წინსვლის კიდევ ერთი დასტურია.

### გუნდმა უნდა ივარსკვლავოს

სუპერვარსკვლავ მარიო ლემიეს წასვლის შემდეგ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ დასრულდა გენიალური ბომბარდირების ეპოქა. ამიერიდან გუნდის შედეგს ვარსკვლავები ველარ განაპირობებენ, ამისთვის გააზრებული გუნდური თამაშია საჭირო, რომლის თავიდათავი გონივრული დაცვაა. ლიგის დაბალი შედეგიანობის მიზეზიც ეს გახლავთ, მეკარეთა განსაკუთრებული აღიარება და პატივისცემაც ამით აიხსნება.

ნჰლ-ის მესვეურებს კარგად მოეხსენებათ, რომ მაყურებელს ლამაზ ნახტომებსა და „სეივებზე" მეტად გოლის ხილვა სურთ, კლუბების გენერალური მენეჯერების ბოლო სხდომაზეც სწორედ ამიტომ იმსჯელეს წესებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მაგრამ სანამ ახალი ლემიეები და გრეცკები არ გამოჩნდებიან, ვეჭვობთ, ეს პრობლემა გადაიჭრას.

### ხაფანგები სანაგვეში

და მაინც, მომავალი სეზონიდან სასიკეთო ძვრებს უნდა ველოდეთ. ამის იმედს გვმატებს თუნდაც თვით ჩემპიონის, დეტროიტის თამაში, სადაც შეტევა და დაცვა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. წლევანდელი პლეი ოფის ფინალიც ხომ გაცილებით საინტერესო გამოდგა. ამის თქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ ლიგის საუკეთესო გოლეადორები — ფორსბერგი, იაგრი და სხვანი საუკეთესო ფორმაში არიან.

გაისად, იმედია, სელიანე-კარიას მრისხანე დუეტსაც ვიხილავთ და ლინდროსიც, წლევანდელი უფერული თამაშის მიუხედავად, ალბათ, კვლავ გაახარებს ჰოკეის ქომაგებს. სნაიპერთა სამომავლო წარმატებებზე იმიტომაც ვსაუბრობთ, რომ ყოველგვარი დაცვითი ხაფანგების გამომგონებლისა და დამანგრეველი ჰოკეის მამად აღიარებული ჟაკ ლემერის ხანა წარსულს ჩაბარდა — ნიუჯერსელთა თავკაცი თავის კლუბს დაემშვიდობა.

**სამველ ლარიბიანი**

## ჩოგბურთი

# შტეფიმ მსაჯები დაიწრინა

**ისტბორნი. ინგლისი. „დირექტ ლაინის" პირველობა. ტარდება ბალახზე. საპრიზო 450 ათასი $**

**მეოთხედფინალი: ანა კურნიკოვა (6, რუსეთი) — შტეფი გრაფი (2, გერმანია) 6:7 (4:7), 6:3, 6:4; ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — მაყი სერნა (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) — სერენა უილიამსი (აშშ) 4:6, 6:4, 6:4; იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — ირინა სპირლეა (5, რუმინეთი) 7:5, 6:4**

ინგლისური დაზღვევის გიგანტის „დირექტ ლაინის" პირველობაზე მეოთხედფინალურ შეხვედრას სხვადასხვა თაობის ორ მოწინავე წარმომადგენელს — ანა კურნიკოვასა და შტეფი გრაფს შორის დიდი ინტერესით ელოდნენ და ამ ორსაათიან დაძაბულ მატჩსაც იმედი არავისთვის გაუცრუებია.

ასაკში 12-წლიანი სხვაობის მიუხედავად, გრაფსა და კურნიკოვას თამაშის მსგავსი — აგრესიული სტილი, ბალახის საფარისა და მისი აუცილებელი კომპონენტის, ბადესთან გასვლების სიყვარული აერთიანებთ; შტეფი უიმბლდონის 7-გზის ჩემპიონია, კურნიკოვა — ისტორიაში ოდენ მეორე ჩოგბურთელი (კრის ევერტის შემდეგ), ამ პრესტიჟულ ტურნირზე პირველი ცდითვე ნახევარფინალში რომ გასულა (შარშან).

ბოლო წლების განმავლობაში ტრავმებით გატანჯულ გერმანელს დიდი ხნის უთამაშებლობისა კორტზე არაფერი ეტყობოდა, სამაგიეროდ, ძველი შტეფისგან განსხვავებით, ნერვები ვერ აღმოაჩნდა მწყობრში: გარდა იმისა, რომ შეიდიდან სამი ორმაგი შეცდომა ბრეიკ-პოინტებზე, მეტად მნიშვნელოვან მომენტში შეიმთხვია, მთელი მატჩის განმავლობაში გვერდითი მსაჯების გადაწყვეტილებების გაპროტესტებით იყო გართული. შეგიძლიათ, ნორმალურად ადევნოთ თვალი ხაზებს? — უღრიალა მან მესამე სეტში ერთ-ერთ მსაჯს, მოგვიანებით კი ამას მორიგი კითხვა მიაყოლა — ვინმე უყურებს ამ ოხერ თამაშს?

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ შეხვედრის ბოლოს გერმანელმა ტურნირის დირექტორი გამოიძახა კორტზე და გვერდითი მსაჯების შეცვლა მოითხოვა — პირველად თხუთმეტწლიანი კარიერის განმავლობაში, მატჩის შემდეგ კი მთავარ რეფერის ხელიც არ ჩამოართვა: „დღეს ძალიან ბევრი შეცდომა დაგროვდა. ეს ძალზე გამაღიზიანებელია, რადგან, როგორც პროფესიონალი, სხვებისგანაც ასეთივე მიდგომას მოვითხოვ საქმისადმი."

თუმცა შტეფის მარცხი მთლიანად მსაჯებისთვის მაინც არ გადაუბრალებია, თავისი სამუშაო არც მათ შეუსრულებიათ წესიერად და არც მე, ძალზე ეფრთხილობდი და რისკის გაწევასაც ზედმეტად ვერიდებოდიო. სამაგიეროდ, გერმანელს მეტოქის საქებრად სიტყვა არ დაუშურებია — ბადესთანაც კარგად ირჯებოდა და მთლიანადაც ძალიან კარგი მატჩი ჩაატარაო. „მიუხედავად იმისა, რომ წაგებით ბედნიერი სულაც არ ვარ, კიდევ რამდენიმე დღე დამრჩა სავარჯიშოდ და უიმბლდონსაც სრულ მზადყოფნაში შევხვდები" — განაცხადა მატჩის შემდეგ გრაფმა.

რაც შეეხება კურნიკოვას, თამაშის შემდეგ პრესკონფერენციისთვის მას სულაც არ ეცალა — მესამე სეტის შუაში 17 წლის რუსი ბურთის დევნისას წაიქცა, ხელი იტკინა და მატჩის დამთავრებისთანავე საავადმყოფოში გაემგზავრა ტრავმის სიმძიმის დასადგენად, ჟურნალისტებს კი მოგვიანებითღა გაესაუბრა. „ძალზე ბედნიერი ვარ მოგებით. ეს უიმბლდონისთვის საკუთარი ძალების რწმენას შემმატებს, შტეფი ხომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთელია და იქ შვიდჯერაც გაუმარჯვია." თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, ანას საუიმბლდონოდ თავდაჯერება შეიძლება სულაც არ დასჭირდეს: წაქცევისას ნატკენი ცერა თითი საკმაოდ სერიოზულად აღმოჩნდა დაზიანებული, რუსს ისტბორნში ნახევარფინალში ასპარეზობაზეც უარის თქმა მოუხდა და არც სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირზე თამაში აქვს გარანტირებული.



არანჩა სანჩესი მაყურებლებშიც გაინავარდა

გრაფ — კურნიკოვას შეხვედრა ტურნირის ერთადერთი თაობათა ჯახი არ გახლდათ — ნახევარფინალში გასასვლელად ერთმანეთს ვეტერანი არანჩა სანჩეს-ვიკარიო და 16 წლის სერენა უილიამსიც შეხვდნენ. ამათი ბოლო მატჩი როლან გაროსზე მაინცდამაინც სასიამოვნო ვითარებაში არ დასრულებულა: თამაშისას ამერიკელმა მეტოქეს განზრახ დაუმიზნა ბურთი სახეში, რისთვისაც სამართლიანად აღშფოთებულმა არანჩამ მატჩის შემდეგ გაუთლელი და გაუზრდელიც უეპითეტა. შეხვედრამ ამჯერადაც დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა, კუნთა ზანგი კვლავ ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულმა ესპანელმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, წვიმის გამო მეორე დღეს გადატანილ მესამე სეტში კი, რომელზეც სერენა კოჭ-მუხლ-ბარძაყშეხვეული გამოცხადდა (კურნიკოვას მსგავსად, ამანაც ზედმეტი მოინდომა ერთერთი გათამაშებისას), მატჩი იოლად მიიყვანა გამარჯვებამდე.

**ავთანდილ სვანიძე**

### გოლები

3 — მარსელო სალასი (ჩილე), კრისტიან ვიერი (იტალია)
2 — ლუის ერნანდესი (მექსიკა), ტიერი ანრი (საფრანგეთი)
1 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), რობერტო ბაჯო (იტალია), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), ფერნანდო იერო (ესპანეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), დავორ შუკერი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ჰ. ფლო (ნორვეგია), ბარლი (შოტლანდია), რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), ბებეტო (ბრაზილია), ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), ვიქტორ იკპება (ნიგერია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)
1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი)

### წითელი ბარათები

**B ჯგუფი**

კამერუნი — რაიმონდ კალა

**C ჯგუფი**

დანია — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი
ს. აფრიკა — ალფრედ პირი
საფრანგეთი — ზინედინ ზიდანი
საუდეთი — მუჰამედ ალ ხალაივი

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი

**E ჯგუფი**

კორეა — ჰა სეკ ჯუ
ჰოლანდია — პატრიკ კლუივერტი

### ყვითელი ბარათები

**A ჯგუფი**

ბრაზილია — სეზარ სამპაიო 2, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო
შოტლანდია — დარენ ჯეკსონი 2, გორდონ დიური
მაროკო — საიდ ჩიბა 2, აბდელჯალილ ჰადა
ნორვეგია — ჰენინგ ბერგი, კეტილ რეკდალი

**B ჯგუფი**

ჩილე — ნელსონ პარაგუსი, კლარენს აკუნია, ფრანსისკო როხასი, მარსელო სალასი, მოისეს ვილიაროელი, ივან სამორანო, ფაბიენ ესტეი
იტალია — ანჯელო დი ლივიო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო კოსტაკურტა, ლუიჯი დი ბიაჯო
ავსტრია — ანტონ პფეფერი, პეტერ შოტელი
კამერუნი — სამუელ იპუა, პიერ ვომე, პიერ ნჯანკა, დიდიე ანგიბედო, რიგობერტ სონგი

**C ჯგუფი**

დანია — მორტენ ვიგჰორსტი, მარკ რიპერი, ალან ნილსენი, მიჰაელ შიონბერგი, იეს ჰოგი, პეტერ შმაიხელი
საფრანგეთი — ემანუელ პეტი, დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი, ბიქსენტე ლისარასუ
საუდეთი — ხალიდ ალ მუვალიდი, მუჰამედ ალ ჯაჰანი, სამი ალ ჯაბერი
ს. აფრიკა — ვილემ ჯეკსონი, დავიდ ნიატი, პიერ ისა, ალფრედ პირი, ლუკას რადებე

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი, ტრიფონ ივანოვი, ილიან ილიევი, რადოსტინ კიშიშევი
ესპანეთი — გილერმო ამორი, მიგელ ანხელ ნადალი, ივან კამპო, სერხი, კიკო ნარვაესი
პარაგვაი — მიგელ ბენიტესი, სელსო აიალა, ფრანსისკო არსე
ნიგერია — უჩე ოკეჩუკვუ 2, მუტიუ ადეპოჟუ, ვიქტორ იკპება, ჯეი-ჯეი ოკოჩა

**E ჯგუფი**

მექსიკა — ხაიმე ორდიალესი, ალბერტო გარსია ასპე
ბელგია — ლორენცო სტალენსი, ერიკ დეფლენდრე

**F ჯგუფი**

იუგოსლავია — ზელიკო პეტროვიჩი, დრაგან სტოიკოვიჩი
გერმანია — იენს იერემისი, დიტმარ ჰამანი, იორგ ჰაინრიხი
აშშ — ფრენკი ჰეიდუკი, ედი პოუპი

**G ჯგუფი**

ტუნისი — ხოსე კლეიტონი, იმედ ბენ ინეში, კაის გოდბენი
რუმინეთი — იულიან ფილიპესკუ, დორინელ მუნტეანუ, დან პეტრესკუ
ინგლისი — სოლ კემპბელი
კოლუმბია — ხოსე სანტა

**H ჯგუფი**

იაპონია — მასამი იჰარა, ისუკე ნაკანიში, ტაკაში ჰირანო
ხორვატია — ზვონიმირ სოლდო, დარიო სიმიჩი
იამაიკა — დეონ ბარტონი

## რა დროს შვებულებაა, სერ?

**ინგლისელი ფანების თავაშვებულობის ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. რა დონის ტურნირიც არ უნდა იმართებოდეს, თუ იქ ინგლისის ნაკრები ან ამ ქვეყნის რომელიმე კლუბი მონაწილეობს, ყველა არეულობას და ჩხუბს უნდა ელოდოს. ამ მხრივ ბრიტანელი გულშემატკივრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი, შეიძლება ითქვას, მისწრებაა. გამონაკლისი არც საფრანგეთი 98-ია, სადაც მათ უკვე გამოიჩინეს თავი, თანაც ისე, რომ წესრიგის უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარე სერ ბრაიან ჰეიესს ხუთდღიანი შვებულებაც კი აალებინეს. მარსელში მომხდარ აყალმაყალზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა. სწორედ ამ მოვლენების გამო განერვიულებული და დაღლილი ჰეიესი თურმე ესპანეთში გაემგზავრა. გაზეთი „მირორი“ იუწყება, რომ ეს ვოიაჟი მას დასვენებასა და ძალების მოკრებაში დაეხმარება — წინ ხომ ინგლისელთა სხვა მატჩებია. „სერ ბრაიანმა თავისი სასტუმრო დატოვა და მარსელიდან ესპანეთის სამხრეთში მდებარე საკუთარ ვილას მიაშურა. მას თან ახლავს მეუღლე პრისცილა“ — აცხადებს „მირორი“. ასე რომ, მარსელური მოვლენები შეიძლება კვლავ განმეორდეს.**

## დოყლაპიებმა ბილეთებს ვერ მოუარეს

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მატჩებზე დასაწრებ ბილეთებზე ერთი ამბავი იყო ატეხილი. ფრანგ ორგანიზატორებს ძირითადად იმაში სდებდნენ ბრალს, რომ ისინი ბილეთებს არასამართლიანად ანაწილებდნენ, რის გამოც არაერთი უცხოელი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა და იძულებული შეიქნა, ჩემპიონატისთვის ოდენ ტელევიზიით ედევნებინა თვალი. თუმცა ეს პრობლემა ამით არ ამოწურულა. საფრანგეთის ცხელ მინდვრებზე ჩემპიონატით გამოწვეული დაძაბულობა აპოგეას მიუახლოვდა და თამაშების ხილვით ისინიც კი აინთნენ, ვისაც ცხოვრებაში სტადიონზე მისვლა აზრადაც არ მოსვლია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სტადიონზე შესასვლელი ბილეთების შოვნა ამ დღეებში საფრანგეთში ალბათ ყველაზე დიდი სირთულეა. ათასი ჯურის გადამყიდველები და შავი ბაზრის საქმოსნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გულშემატკივართათვის ესოდენ სანუკვარი ბილეთები იშოვონ და შემდეგ მამასისხლად გაყიდონ. ამისათვის ეს შავბნელი ხალხი, რა თქმა უნდა, არანაირ უმსგავსოების ჩადენას არ თაკილობს. გუშინწინ ამერიკული ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლები სწორე მსგავს შემთხვევას შეესწრნენ. ამ ორგანიზაციას ათასობით ფეხბურთის ქომაგი შეეპირებინა, რომ საფრანგეთში ეროვნული გუნდის მონაწილეობით გამართულ შეხვედრებზე გაამგზავრებდა და ბილეთებითაც უზრუნველყოფდა, მაგრამ... ბილეთები, რომლებიც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის კუთვნილ შენობებში ინახებოდა, სეიფიდან გაქრა. ამერიკული ტურისტული ფირმა მომხდარში მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს (CFO) და ფრანგულ პოლიციას (PST) ადანაშაულებს. ამრიკელთა თქმით, ის პირები, ვისაც ბილეთებზე თვალყურის დევნა ევალებოდა, მეტად არასერიოზულად მოეკიდნენ საქმეს და ვიღაც ნაძირალებს მათი მოპარვის საშუალება მისცეს. შემდეგ კი, როდესაც ეს ამბავი ყველამ შეიტყო, პოლიციაც და




*სხვებმა იკითხონ, თორემ პლატინის რა ენაღვლება: მუდამ ბილეთიანია*

ორგანიზატორებიც სიტუაციის გამოსწორებას შეეცადნენ, მაგრამ დაკარგულ ბილეთებს ვიღა დაუბრუნებდათ.

— როგორც ვრწმუნდებით, ჩემპიონატის ორგანიზატორები ფრანგ პოლიციის ოფიცრებთან ერთად ბილეთების პოვნის მაგივრად ცდილობენ, როგორმე დაგვარწმუნონ, მომხდარი ჩვენი ბრალი არ არისო. ამას ნამდვილად არ ველოდით და შესაბამის ორგანოებს საკადრის პასუხს მოვთხოვთ. ჩვენ 15 ათასი ბილეთი გვქონდა დაჯავშნული და მათში ფეხბურთის ნახვის მსურველებმა უდიდესი თანხა გადაიხადეს. ახლა კი აღარ ვიცით, მოტყუებულ კლიენტებს რა ვუთხრათ — განაცხადა დაზარალებული ამერიკული ტურისტული ფირმის დირექტორმა. CFO-ს წარმომადგენლებმა კი კომენტარისგან თავი შეიკავეს და ქურდობის შესახებ მხოლოდ ის თქვეს, რომ ეს მათ პოლიციელებმა შეატყობინეს. თავად PSI-მ კი ასე ახსნა სიტუაცია: „რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ქურდობა სწორედ ერთ-ერთი პოლიციის ქვეგანყოფილებაში მოხდა, უექველია. უცნობები შენობაში ოთხშაბათს ღამით შეიპარნენ და რამდენიმე ათას დოლართან ერთად 15 000 ბილეთიც ხელს გააყოლეს. სამწუხაროა, რომ PSI-ს დაკარგული ფული და ბილეთები დაზღვეული არ ჰქონდა და ამიტომ უდიდესი ზარალის დაფარვა საკუთარი ჯიბიდან მოუწევს. ჩვენ პირობას ვიძლევით, რომ გულნაკლულს არავის დავტოვებთ და ბილეთებში გადახდილ ფულს დაზარალებულ გულშემატკივრებს მთლიანად ავუნაზღაურებთ.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლავთ ბილეთებთან დაკავშირებული ჯერჯერობით უკანასკნელი სკანდალი წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**ირაკლი ხმელიძე**

## აშშ — ირანი: მატჩი თუ ბომბი?

1998 წლის 21 ივნისს, კვირას, საფრანგეთის ქალაქ ლიონში მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული, F ჯგუფის შეხვედრა უნდა გაიმართოს — აშშ — ირანი. ერთი შეხედვით ეს ჩვეულებ-



ამერიკელი ღმერთს არ შესთხოვს, ამერიკელს ამერიკის სჯერა

რივი, სპორტული თვალსაზრისით არცთუ საინტერესო მატჩია, ერთმანეთს ჯგუფის აუტსაიდერები ხვდებიან და თუ რაიმე საოცრება არ მოხდა, ისინი მერვედფინალამდე ვერ გააღწევენ, რადგან ორი დანარჩენი ნაკრები, გერმანიის და იუგოსლავიის, მათზე ბევრად მაღალი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მაგრამ ამ თამაშის ირგვლივ უკვე მიმდინარეობს დისკუსიები და სპორტი აქ არაფერ შუაშია, მას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს...

1979 წელს თეირანში მდებარე ამერიკის საელჩოს თავს ირანელი რევოლუციონერები დაესხნენ. მათი მიზანი ამერიკელი დიპლომატების მძევლად აყვანა და მათი სათანადოდ, საკუთარი საქმის საკეთილდღეოდ გამოყენება იყო. ასეც მოხდა, საელჩოს 50 თანამშრომელი მეამბოხეთა ხელში მოხვდა და აქედან მოყოლებული, ურთიერთობები აშშ-სა და ირანს შორის საოცრად დაიძაბა.

ეს დაძაბულობა დღესაც იგრძნობა. ამის გამო არსებობს საშიშროება, კვირას ლიონში მარსელური ამბები არ განმეორდესო, თანაც გაცილებით დიდი მასშტაბით. ამ დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, ეს კი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტს არ ესწავლება. იგი უკვე დაუკავშირდა ირანის პრეზიდენტ მუჰამად ხატამის და როგორც ცნობილი გახდა, სატელეფონო საუბარი მხოლოდ მომავალი მატჩს შეეხებოდა.

იმისთვის, რომ შეხვედრამ მშვიდობიანად ჩაიაროს და მის დაწყებამდე რაიმე კონფლიქტებს არ ჰქონდეს ადგილი, ჩვეულებრივი მოკვდავნიც ზრუნავენ. კერძოდ ერთ-ერთმა ამერიკულმა ასოციაცია „ინტერნიუსმა“, რომელიც ჯერ კიდევ 1980 წელს აწყობდა ტელე-ხიდებს ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, გადაწყვიტა, აქცია გაიმეოროს, ოღონდ ამჯერად საბჭოთა მხარეს ირანული შეცვლის. ამ ასოციაციის პრეზიდენტმა დევიდ ჰოფმანმა განაცხადა: „ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ვერაფერი დაამსხვრევს არსებულ სტერეოტიპებს ისე მალე, როგორც ორი ერის წარმომადგენელთა პირისპირ შეხვედრა“. ტელე-ხიდი სავარაუდოდ მატჩის წინა დღეს გაიმართება. „ინტერნიუსის“ წარმომადგენლის კრისტოფერ ტურპინის თქმით, ამერიკულ მხარეში ნიუ-იორკის ერთ-ერთი უნივერსიტეტის რვა სტუდენტი და რამდენიმე საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი იქნება, ხოლო ირანელთაგან — ქალბატონი, რომელიც ქვეყნის წამყვანი საფეხბურთო ჟურნალის რედაქტორია, მისი ვაჟი, აგრეთვე ირანის კალათბურთელთა ნაკრების წევრები და თეირანის ყველაზე დიდი სპორტული უნივერმაღის დირექტორი.



რას არ მისცემდა ეს ირანელი ქალი თავისიანთა მოგებაში

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კივზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ზარატიშვილი, ბელა ზატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29